დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ-გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე:თინა ძულიაშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
თამარ წიწიკაშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ქეთევან ტურიაშვილი -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ლელა კაკაშვილი -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
სალომე ზარქუა -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
თამარ ძველაია -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
თეა ხუროშვილი -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ინგა დარსაველიძე -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნინო საღარაძე -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
გიორგი კოპლატაძე -სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ეკატერინე კვირკველია-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	226563288

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	გარდაბნის რაიონი, სოფელი გამარჯვება
ფაქტობრივი მისამართი	გარდაბანი, სოფელი გამარჯვება
საფოსტო ინდექსი	1300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებგვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელფოსტა	garGamarjveba@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 970521

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 24.02.2026 წლის MES 3 26 0000212294 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წელი, 30-31 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადსაგანმანათლებლო დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი გამარჯვება 26-ე ქუჩა N1(ერთი), ერთი შენობა-ნაგებობა

2	ზოგადსაგანმანათლებლო საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	გარდაბნის მუნიციპალიტეტი ,სოფელი გამარჯვება 26-ე ქუჩა N1(ერთი) ერთი შენობა-ნაგებობა
3	ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქარული ენა	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი გამარჯვება 26-ე ქუჩა N1(ერთი) ერთი შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2026 წლის 30-31 მარტს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლაში.

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია.

ვიზიტის დღის წესრიგი გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. დაათვალიერა სკოლის შენობა.

ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება: დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. საგნობრივი ექსპერტები Teams პლატფორმის საშუალებით გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს. ინტერვიურების პროცესში, საგნობრივი ექსპერტების მიერ დაისვა დამაზუსტებელი კითხვები. შეხვედრისას განხილულ იქნა საგნობრივი კურიკულუმები, პედაგოგებს მიეცათ რჩევები კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. საგნობრივ ექსპერტებს გადაეგზავნათ ფოტომასალა, რომელზეც ასახული იყო სკოლის ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო რესურსები. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა შეაჯამებს ორივე დღე და მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლა დიდი ისტორიის მქონე სკოლაა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერასა და განვითარებაზე. სკოლის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს არაფორმალურ განათლებას, ინოვაციურ საგანმანათლებლო მიმართულებებს, განსაკუთრებით STEM მიმართულების ინტეგრირებულ დანერგვასა და განვითარებას სასწავლო პროცესში. დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს გარე პარტნიორებთან — გაფორმებული აქვს მემორანდუმი რობოტიკის ასოციაციასთან, რომელიც მიზნად ისახავს რობოტიკისა და ტექნოლოგიების პოპულარიზაციას სკოლაში.
ასოციაციასთან პარტნიორობის ფარგლებში სკოლაში იმართება:

- ერთობლივი ტექნოლოგიური პროექტები და ჩემპიონატები;
- მოსწავლეების ჩართვა რობოტიკის პროგრამებში;
- ტრენინგები და მასტერკლასები ინოვაციურ თემებზე.

სკოლას მოპოვებული აქვს დაფინანსება თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდის მიერ გამოცხადებულ საჯარო სკოლების საგრანტო კონკურსში(8000 ლარის ოდენობით) ,რაც უზრუნველყოფს აღნიშნული მიმართულების მდგრად განვითარებას .აღნიშნული გრანტის ფარგლებში სკოლამ შეიძინა მაღალტექნოლოგიური 3D პრინტერი. სკოლაში ხელმისაწვდომია თანამედროვე ტექნოლოგიური რესურსები (Arduino-ს ნაკრებები, სენსორული STEAM, რაც ხელს უწყობს პრაქტიკულ, მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას, კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემის გადაჭრისა და ტექნოლოგიური უნარების განვითარებას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათი მომზადების ხარისხს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

"ყველაფერი დრონების ტექნოლოგიების შესახებ" - ამ სახელწოდებით გაიმართა შეხვედრები სკოლის კურსდამთავრებულებთან, რომელთაც ჩაატარეს FPV დრონის მასტერკლასი -სამოქალაქო დრონების ფრენა რეალურ რეჟიმში. ჩატარდა ლექციები თემაზე:“

თერმული და წყალბადზე (H2) მომუშავე დრონების ტექნოლოგია და ინოვაცია“,“ ხელოვნური ინტელექტი საფრენი აპარატების ამოცანების დამოუკიდებლად შესრულებაში“.

სკოლა წარმატებით ასპარეზობს სპორტის სხვადასხვა სახეობაში : სკოლის გუნდმა ნონა გაფრინდაშვილის თასზე ჭადრაკის შეჯიბრზე რაიონულ ტურზე პირველი ადგილი დაისაკუთრა; ქვემო ქართლის რეგიონალური სასკოლო ლიგის გამარჯვებულია გამარჯვების საჯარო სკოლის გოგონათა გუნდი ფრენბურთში. სკოლის ბაზაზე არსებობს ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „საჯეირნო“.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ შეესაბამება

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 850	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში(2026 წლის აპრილი-2026 წლის სექტემბერი) წარმოადგინოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა .	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში(2026 წლის აპრილი 2027 წლის აპრილი) -უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორიის მოწყობა.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში(2026 წლის აპრილი-2027 წლის აპრილი) -უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორიის მოწყობა.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N 1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს დაგეგმვის პროცესში სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის წინასწარ შემუშავება და გამოყენება ყველა შემდგომი დოკუმენტის შექმნისას.

ინდიკატორი N 1.2.2.2.	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიულ განვითარების და სამოქმედო გეგმები შესრულების მონიტორინგსა დ შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეები უკუკავშირის გათვალისწინებით	სკოლამ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით განახორციელოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N 3.1.2.1.	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	მიზანშეწონილია, სკოლამ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან თანხვედრაში მოიყვანოს პირადი საქმეები (სკოლის დარაჯის და დამლაგებლების პირად საქმეში დაამატოს საბაზო და/ან საშუალო განათლების დამადასტურებელი მოწმობა).
ინდიკატორი N 3.3.1.4.	სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები	სასურველია,სკოლამ უზრუნველყოს სკოლაში დასაქმებულთათვის შინაგანაწესის გაცნობის ხელმოწერით დადასტურება.

ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	სასურველია, სასწავლო წლის ბოლომდე სკოლამ აიყვანოს / დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

ინდიკატორი N 3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	მიზანშეწონილია, სკოლამ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები. ასევე , ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში.
ინდიკატორი N 3.7.1.1	სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება	მიზანშეწონილია, სკოლამ სამოქმედო გეგმაში გადაიტანოს სტრატეგიული გეგმის ამოცანა „მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება“ და მისი განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი რესურსები გაწეროს სკოლის ბიუჯეტში.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა

ინდიკატორი N 4.2.1.6.	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთ უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას	სკოლამ მოსწავლეთა მომსახურების ხარისხის გაზრდის მიზნით შეიმუშაოს კმაყოფილების კითხვარი.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმ წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სასურველია, დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში მკაფიოდ გამოკვეთოთ შემოქმედებითი დავალების იდეა, თუ რა ცოდნა უნდა წარმადგინოს მოსწავლემ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში.

		საზოგადოებრივი მეცნიერებები სასურველია, განხორციელდეს საგნობრივი კურიკულუმების რევიზია, რომელშიც გამოიკვეთება დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიების გაძლიერება. **ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, დაწყებით და საბაზო საფეხურზე, კურიკულუმებში დაზუსტდეს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა და შინაარსი. დაწყებით და საბაზო საფეხურზე, კურიკულუმებში დაზუსტდეს სასწავლო რესურსების ჩამონათვალი და გამრავალფეროვნდეს უკვე არსებული რესურსები. **მათემატიკა** სასურველია, ინტერვიუს დროს გაჟღერებული დიფერენცირებული სწავლების მიდგომები ჩაიწეროს კურიკულუმში. თემის, საკითხის სვეტი სწორად იყოს შევსებული. მაგალითად, ამოღებულ იქნას სიტყვა ,,გამეორება'' და ჩაისვას ის ,რის გამეორებაც სურთ.

ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში - თითოეული საკითხი, შემოქმედებითი დავალება - დაგეგმილი იქნას არა ერთობლივად ყველა სამიზნე ცნების გათვალისწინებით, არამედ ღრმად იქნას გააზრებული თითოეულ საკითხში ორი ან სამი სამიზნე ცნება; **ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, ესთეტიკური განათლების მიმართულებით გაიწეროს აქტივობები, რომელიც სასწავლო პროცესში, ეროვნული მიზნების შესრულების, ასევე, ადგილობრივი კულტურის ინტეგრირების საშუალებას მისცემს პედაგოგებს. **ტექნოლოგიები** სასურველია, V კლასის კურიკულუმში, სამიზნე ცნების - კომპიუტერის აგებულება' - ფარგლებში მკაფიოდ ასახოს საკითხი: რთული ელექტრონული მოწყობილობის (რობოტის) გამართვა. ვინაიდან სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი რობოტიკის ასოციაციასთან და მოპოვებული აქვს თამაზ ბექაიას ფონდის გრანტი STEAM მიმართულებით, მნიშვნელოვანია, ეს შესაძლებლობები აისახოს სასწავლო თემატიკაში (მაგ. Arduino-ს გამოყენება).

ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია ,რესურსების შერჩევისას გათვალისწინებული იქნას, რომ რესურსების გამოყენება ზოგ შემთხვევაში საჭიროებს უფრო მიზანმიმართულ დაგეგმვასა და დიფერენცირებულ მიდგომას, რათა სრულად იქნეს გათვალისწინებული მოსწავლეთა ასაკი, ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები. **ტექნოლოგიები** სასურველია, კურიკულუმის რესურსების გრაფაში მოხდეს იმ კონკრეტული ტექნოლოგიური აღჭურვილობის იდენტიფიცირება, რომელიც სკოლა STEAM საგრანტო კონკურსის ფარგლებში ახორციელებს. კერძოდ, V და VI კლასის კომპლექსურ დავალებებში რესურსად მიეთითოს: Arduino-ს ნაკრებები, სენსორული მოდულები და STEAM ლაბორატორიის ინვენტარი. ეს ხაზს გაუსვამს სასწავლო პროცესის მატერიალურ უზრუნველყოფას. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სასურველია ,ყველა რესურსი ,რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები“. სასურველია დამატებითი რესურსების უფრო დეტალური და კონკრეტული ჩამონათვალის შეტანა.

ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის დროს მასწავლებელთა მიერ გათვალისწინებული დიფერენცირებული მიდგომები შემოქმედებით პროდუქტში აისახოს. **ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, მოქნილი, მოსწავლეზე მეტად მორგებული ისგ-ს შექმნა, სადაც ნათლად გამოჩნდება თემის ფარგლებში დასამუშავებელი აქტივობები. მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკების შექმნა; შუალედური მიზნების სწორად განსაზღვრა და მუდმივი თანამშრომლობა სხვა საგნების პედაგოგებთან და მშობლებთან.

ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, შეფასების რუბრიკების რევიზია და დახვეწა .ასევე სასურველია კათედრის სხდომებზე აქტიურად განიხილონ როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების ეფექტიანობა, წარმოადგინონ პროცესის რეფლექსია, რასაც შედეგად მოჰყვება მათი დახვეწა. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სასურველია, ყველა საგანში, შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის. **ესთეტიკური აღზრდა**

		სასურველია ,გამრავალფეროვნდეს არსებული და ყველა თემისა და საკითხის ფარგლებში შეიქმნას შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე მუსიკისა და ვიზუალური ხელოვნების საგნებში. **ტექნოლოგიები** სასურველია ,ტექნოლოგიების საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, კიდევ უფრო გააქტიურდეს ციფრული პორტფოლიოების წარმოების პრაქტიკა (მაგალითად, OneDrive-ის ან Sway-ს ბაზაზე). ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, თავადვე მოახდინონ საკუთარი პროგრესის ვიზუალიზაცია და დინამიკაში დაინახონ საკუთარი განვითარება, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს განმავითარებელი შეფასების ეფექტურობას. **მათემატიკა** სასურველია, თითოეული დავალების ფარგლებში შექმნან და გამოიყენონ შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით.

ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია ,სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგებმა განახორციელონ საგნობრივი კურიკულუმების დანერგვა-განხორციელების პროცესის რეფლექსია, შედეგები კი გააზიარონ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, რაც მათ დაეხმარება კურიკულუმის რევიზიაში და დოკუმენტირებაში. **ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, სკოლამ ჩართოს თემის სხვადასხვა წარმომადგენელი — მშობლები, ადგილობრივი ხელოვანები, კულტურული მემკვიდრეობის მატარებლები — სასკოლო კურიკულუმის შინაარსის განსაზღვრაში. ეს ხელს შეუწყობს თემის

		ღირებულებების, ინტერესებისა და საჭიროებების ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში. სასურველია, ესთეტიკური კათედრის კურიკულუმი ასახავდეს ადგილობრივ კულტურულ მემკვიდრეობას — მუსიკალურ, სახვით თუ გამოყენებით ხელოვნებას. მუსიკალური ფოლკლორისა და ღირსშესანიშნაობების, ორნამენტების შესწავლა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კულტურული იდენტობის განმტკიცებას. სოფლის სკოლებში ხშირად შეინიშნება რესურსების ნაკლებობა. სასურველია, მასწავლებლებმა მოიპოვონ მასალის მოძიების ალტერნატიული გზები. (მაგ., ბუნებრივი საღებავები, გადამუშავებული მასალები, თემში არსებული რესურსები). სასურველია, სკოლამ დაგეგმოს საერთო ღონისძიებები, სადაც მოსწავლეები თემის მონაწილეობით წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს — მაგალითად, ფოლკლორული კონცერტები, გამოფენები ან თემატური საღამოები. ეს აძლიერებს სკოლასა და თემს შორის კავშირს. **ტექნოლოგიები** მიზანშეწონილია, სკოლამ იზრუნოს ტექნოლოგიების მიმართულებით სერტიფიცირებული კადრის მოზიდვაზე ან არსებული კადრების მიზნობრივ გადამზადებაზე. მითუმეტეს როდესაც სკოლა ახორციელებს ისეთ კომპლექსურ და არაფორმალურ მიმართულებებს, როგორიცაა STEAM განათლება და რობოტიქსი. მიუხედავად იმისა, რომ მათემატიკის კათედრის მიერ საათების შევსება უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე (Arduino, სენსორული სისტემები, ვიზუალური პროგრამირება), კვალიფიციური სპეციალისტის მუდმივი ჩართულობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების მდგრადობისა და მოსწავლეთა ტექნოლოგიური უნარების მაღალ დონეზე განვითარებისთვის.

ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია ,საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე ხშირად განხორციელდეს მონიტორინგისა და თვითშეფასების მექანიზმები, რათა კათედრამ რეგულარულად გააანალიზოს საკუთარი შეფასების პრაქტიკა და შეიმუშაოს გაუმჯობესების გზები. ასევე სასურველია პედაგოგებმა დანერგონ მოსწავლეთა ნამუშევრებით შექმნილი პორტფოლიოებით შეფასების პრაქტიკა, რაც მათ დაეხმარება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზის განხორციელებაში; **ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, შეფასების პროცესში უფრო აქტიურად ინტეგრირდეს ციფრული ინსტრუმენტები – მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრების ვიდეოფიქსაცია, ციფრული პორტფოლიოები, ონლაინ პლატფორმებით შეფასება. სასურველია, შეფასების პროცესში მოსწავლეთა როლი გაფართოვდეს არა მხოლოდ თვითშეფასებით, არამედ შეფასების კრიტერიუმების ერთობლივი შედგენით, რაც მათ ჩართულობას და პასუხისმგებლობას გაზრდის. სასურველია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა შეფასების ინოვაციური მეთოდების შესახებ პროფესიული ტრენინგების გზით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პრაქტიკის გაღრმავებას და გააუმჯობესებს არსებული ინსტრუმენტების გამოყენების უნარებს.

ინდიკატორი N2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია ,საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ მოქმედი ელექტრონული რესურსების, ასევე აღნიშნული ელ. რესურსების შერჩევის დროს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ასაკი, ასევე ის, რომ ინფორმაცია გადმოცემული იქნას ქართულ ენზე; ესთეტიკური აღზრდა სასურველია, ესთეტიკურმა კათედრამ გაიაროს კონსულტაციები, მოახდინოს გამოკითხვა სკოლის დირექტორთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან, რათა გამოავლინოს, რას მიიჩნევს სკოლა და საზოგადოება პრიორიტეტულად. სასურველია, ინტეგრირებული თემატიკის არჩევა სკოლის სპეციფიკის მიხედვით. სასურველია, კურიკულუმში აისახოს სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თემის პროფილის (მაგ: ადგილობრივი ფოლკლორი, სოფლის მეურნეობა, ღირსშესანიშნაობები, რიტუალები) შესაბამისი თემები. ტექნოლოგიები სასურველია, კურიკულუმის „რესურსების“ გრაფაში მოხდეს იმ კონკრეტული ტექნოლოგიური აღჭურვილობის იდენტიფიცირება (Arduino-ს ნაკრებები, სენსორული მოდულები, STEAM ლაბორატორიის ინვენტარი), რომელსაც სკოლა საგრანტო კონკურსის ფარგლებში იყენებს ეს ხაზს გაუსვამს სასწავლო პროცესის მატერიალურ უზრუნველყოფას დ დაადასტურებს მჭიდრო კავშირს მატერიალურ რესურსსა და სწავლის შედეგებს შორის.

ინდიკატორი N2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	სასურველია ,საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე დაინერგოს გამოყენებული დამხმარე ელექტრონული რესურსების ეფექტიანობის შემდგომი ანალიზის პრაქტიკა. ესთეტიკური აღზრდა მიუხედავად იმისა, რომ რესურსების შერჩევა ხორციელდება გააზრებულად, სასურველია მისი ფორმალიზება: მაგალითად, რესურსების გამოყენების წინასწარი დამტკიცება კათედრის სხდომაზე, ან შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება თემატურ -საათობრივ გეგმაში. ეს ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. სასურველია, სკოლაში გამოიყენებოდეს მხოლოდ სანდო, ავტორიტეტული წყაროებიდან მოწოდებული ელექტრონული მასალა. აუცილებელია რესურსების შინაარსობრივი გადამოწმება, რათა არ მოხდეს არასანდო მასალის გამოყენება. სასურველია, შეიქმნას მუსიკისა და ხელოვნების რესურსების ელექტრონული ბაზა, რომელსაც გამოიყენებენ კათედრის მასწავლებლები. რესურსბანკში შესაძლებელია შეინახოს: სასწავლო ვიდეოები, ნოტები, ნახატების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები და პრეზენტაციები. დამხმარე რესურსად შესაძლოა გამოყენებულ იქნას მოსწავლეთა ნამუშევრები, წინა წლების პროექტები და პრეზენტაციები. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციას და ასახავს შემოქმედებითი პროცესის უწყვეტობას. **ტექნოლოგიები**

		სასურველია, კომპიუტერული ტექნოლოგიების ფარგლებში, სკოლამ/კათედრამ შექმნას „ციფრული რესურსების ვალიდაციის ელექტრონული ჟურნალი/ბაზა“. მასში მასწავლებლები ასახავენ გამოყენებულ ონლაინ პლატფორმების, პროგრამებისა თუ ბმულების მოკლე ტექნიკურ და შინაარსობრივ შეფასებას (მაგ: ინტერნეტის საჭიროება, რეგისტრაციის მოთხოვნა, სირთულის დონე). ეს დაეხმარება სკოლას, დროულად მოახდინოს მოძველებული ან ტექნიკურად შეუსაბამო ციფრული რესურსების იდენტიფიცირება და ჩანაცვლება ახალი, უფრო ეფექტური ინსტრუმენტებით.

ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, ესთეტიკის კათედრისთვის საჭირო ინვენტარის განახლება. მიუხედავად არსებული საბაზისო რესურსისა, მიზანშეწონილია რეგულარული შევსება და განახლება სახარჯი მასალებისა (საღებავები, ფუნჯები, ქაღალდი, მუსიკალური ინსტრუმენტები), რაც მნიშვნელოვნად იმოქმედებს პრაქტიკული საქმიანობის ხარისხზე. სასურველია, გაძლიერებული ყურადღება დიფერენცირებულ მიდგომებზე. მოსწავლეთა რაოდენობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ სხვადასხვა სირთულის დავალებების შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას და ინდივიდუალურ პროგრესს. სასურველია, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება – იქნება ეს მხატვრული ნამუშევრების ციფრული არქივის შექმნა, მუსიკის ციფრული პროგრამების გამოყენება თუ დისტანციური რესურსების გამოყენება მრავალფეროვანი დავალებებისთვის.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლამ 2026 წლის 27 აპრილს წარადგინა კორესპონდენცია (ცენტრში რეგისტრაციის N488858)) არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ეხება დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით . წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით იკვეთება შემდეგი სახის გარემოებები ხარვეზებთან მიმართებით:

ინდიკატორი N 1.2.1.4.

სკოლამ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრა სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანა, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეიცვალა შეფასებით „ დაკმაყოფილებულია“.

ინდიკატორი N 3.4.1.2.

სკოლამ შეიმუშავა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. დაიწყო დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვა. სკოლა სარგებლობს გაწეული სასწრაფო სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმებით.
სამედიცინო კაბინეტი აღიჭურვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-41/ნ-ის შესაბამისად, სკოლამ შეიძინა შირმა. ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული „ შეიცვალა შეფასებით „ დაკმაყოფილებულია.“

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სსიპ- გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სკოლის მისიაა, შექმნას სასკოლო საზოგადოებისთვის პოზიტიური, უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე, დაეხმაროს მოსწავლეებს საკუთარი თავის ძიებაში, შეუქმნას პირობა სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ეფექტური თვითგანვითარებისთვის, ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრაციით, ინოვაციურ-ეფექტური სასწავლო მეთოდების საშუალებით აღზარდოს კონკურენტუნარიანი მოქალაქე, რომელიც შეძლებს თანამედროვე სამყაროში პიროვნულ რეალიზებას.

სკოლის ხედვაა, უზრუნველყოს სწავლების მაღალი ხარისხი, იყოს მდგრადი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო დაწესებულება. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისად, ზრუნავდეს თავისუფალი, კომპეტენტური, ეროვნული თვითშეგნებისა და იდენტობის მოქალაქის აღზრდაზე, წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. სკოლა 2030 წლისთვის თავის კურსდამთავრებულებს ხედავს თავისუფალ, კონკურენტუნარიან რეალიზებულ მოქალაქეებად.

სკოლის ღირებულებები: სკოლა უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

• გამჭირვალობა;

• მიუკერძოებლობა;

• თანამშრომლობითი კულტურის დანერგვა და პასუხისმგებლობის გაზიარება;

• ობიექტურობა და სამართლიანობა; • განვითარება და ინოვაციურობა;

აღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ სკოლის ფილოსოფია ორიენტირებულია არა მხოლოდ აკადემიურ ცოდნაზე, არამედ ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, კონკურენტუნარიანი და თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებაზე. ეს პირდაპირ პასუხობს სახელმწიფოებრივ მოთხოვნას — აღიზარდოს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მქონე მოქალაქე.

სკოლის ხედვა ითვალისწინებს თანამედროვე გამოწვევებს და ორიენტირებულია მდგრად განვითარებაზე. ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრაციის მექანიზმი უზრუნველყოფს მოსწავლის მრავალმხრივ რეალიზებას.

დოკუმენტში გაწერილი ღირებულებები (გამჭვირვალობა, მიუკერძოებლობა, თანამშრომლობა) ქმნის ეთიკურ ჩარჩოს, რაც აუცილებელია პოზიტიური და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შესანარჩუნებლად. სკოლა პრიორიტეტად აცხადებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვას, რაც სასკოლო კულტურის ფუნდამენტია. სკოლის ხედვაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი კურსდამთავრებულის პორტრეტი — კონკურენტუნარიანი და კომპეტენტური მოქალაქე, რომელიც მზად არის წვლილი შეიტანოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

ინდიკატორი 1.1.1.1 შესაბამისობაშია

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა განსაზღვრავს სკოლის როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტში ხაზგასმულია „პოზიტიური და უსაფრთხო გარემოს“ მნიშვნელობა. ასევე აქცენტები კეთდება მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე.

დაეხმაროს მოსწავლეებს საკუთარი თავის ძიებაში, შეუქმნას პირობა სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ეფექტური თვითგანვითარებისთვის, ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრაციით, ინოვაციურ-ეფექტური სასწავლო მეთოდების საშუალებით აღზარდოს კონკურენტუნარიანი მოქალაქე, რომელიც შეძლებს თანამედროვე სამყაროში პიროვნულ რეალიზებას.

ინდიკატორი 1.1.1.2 შესაბამისობაშია

3.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიიის დოკუმენტი(18.12.2025 წელი ბრძანება N54).სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობდა სკოლის ფილოსოფიაზე (ბრძანება N 55 18.12.2025 წელი). სკოლის მისიისა და ხედვის შემუშავებისას სკოლამ გაითვალისწინა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგები და გამოკვეთილი სასკოლო პრიორიტეტები. სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სკოლის ფილოსოფიის პროექტი. პროექტის შემუშავების შემდეგ მოხდა მისი გაზიარება საგნობრივ კათედრაზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, მშობლებთან შეხვედრაზე, სოციალური ქსელებით, ჯგუფებში. აღნიშნული დასტურდება ვიზიტის დროს მოსწავლეებთან და მშობლებთან პირისპირ გასაუბრებითაც.

ინდიკატორი 1.1.1.3 შესაბამისობაშია

3.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია ინფორმაციის გაზიარების მექანიზმები:

ა)სკოლის ვებგვერდი;

ბ) ელექტრონული ფოსტა;

გ) დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;

დ) პორტალი ვებგვერდზე;

ე) სოციალური მედია;

ვ)საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან; სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს ფილოსოფიის გაზიარებას, კერძოდ: სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე . ამასთანავე,

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები რომელიც შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ, განიხილეს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, ასევე სკოლის მშობელთა კრებაზე, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან და სკოლის თვითმმართველობასთან.

ინდიკატორი 1.1.1.4 შესაბამისობაშია

4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის დერეფანში თვალსაჩინო ადგილას, ასევე განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებვერდზე. სკოლის დირექტორი და დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში პირველივე შეხვედრისას მშობლებს აცნობენ სკოლის პრიორიტეტულ მიმართულებებს. ეწყობა გაერთიანებული შეხვედრები მშობლებთან. შესაბამისად სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ინდიკატორი 1.1.1.4 შესაბამისობაშია

5.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება და სტატუსი მინიჭებულია 448-ე დადგენილებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განისაზღვრა: სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლა.

ინდიკატორი1.1.1.5 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სკოლის დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება N54-18/12 /2025წ; 2. სტრატეგიული გეგმა
- სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები; 4. პუბლიკაციები სოციალურ მედიასა და „ახალ განათლებაში“;
- Skolebi.emis.ge -ზე გამოქვეყნებული დოკუმენტები.
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შეფასება: ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება. ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

სკოლამ (18.12.2025 წელს ბრძანება N54) დაამტკიცა მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. არსებული დოკუმენტი მოიცავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. კერძოდ, განსაზღვრულია სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების ურთიერთმიმართება, სამუშაო ჯგუფის ფორმირება და შემადგენლობა, ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების ეტაპები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება, გეგმების შემადგენელი სავალდებულო კომპონენტების ნუსხა, შესრულების მონიტორინგი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია 2023 წელს, ხოლო სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია- 2025წელს.მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტები შინაარსობრივად ურთიერთშესაბამისია, მათი დამტკიცების ვადები არ უზრუნველყოფდა დაგეგმვის პროცესის წინასწარ განსაზღვრულ და თანმიმდევრულ განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის სკოლაში ყოფნის პერიოდში სკოლის დირექციასთან, სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიაზე და სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაზე მომუშავე ჯგუფთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება სრულად აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ სტრატეგიული გეგმა უნდა ეფუძნებოდეს მეთოდოლოგიის დოკუმენტს.

ვიზიტის დროს სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ბრძანება N131(30.03.2026 წელი), რითაც შეიტანა ცვლილება ბრძანებაში-N54 და სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე დაამტკიცა მეთოდოლოგიის დოკუმენტი.

აღნიშნულით დასტურდება, რომ სკოლამ გაიაზრა საკითხის მნიშვნელობა და გადადგა ნაბიჯები პროცესების გასაუმჯობესებლად. დაწესებულება აცნობიერებს დაგეგმვის პროცესის სისტემურობის, მეთოდოლოგიური ჩარჩოს მნიშვნელობას და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს სტრატეგიული დოკუმენტების ურთიერთშესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

რჩევა: სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს დაგეგმვის პროცესში სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის წინასწარ შემუშავება და გამოყენება ყველა შემდგომი დოკუმენტის შექმნისას.

ინდიკატორი 1.2.1.1. შესაბამისობაშია

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს სკოლას შემუშავებული აქვს 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; აღნიშნული დოკუმენტი შემუშავდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, კერძოდ, სამუშაო ჯგუფის მიერ. დოკუმენტი განხილულ იქნა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ.

   ინდიკატორი 1.2.1.2. შესაბამისობაშია

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას სკოლას შემუშავებული აქვს 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც არის ერთწლიანი, ეფუძვნება სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას, SWOT-ანალიზს.

   ინდიკატორი 1.2.1.3. შესაბამისობაშია

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია .

   ინდიკატორი 1.2.1.4. შესაბამისობაშია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სკოლის 2023-2030 წლების სტრატეგიული
- განვითარების გეგმა;
- სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს
   სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში თავი 12 ეთმობა მონიტორინგისა და შეფასების მკაფიოდ გაწერილ მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სკოლამ ყოველწლიურად უნდა მოამზადოს სამოქმედო გეგმის მონიტორინგი წელიწადში ორჯერ: იანვარსა და ივნისში, ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი მისი განხორციელების პერიოდში 2 ჯერ და უზრუნველყოს მის საჯაროობა სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებით.
   ინდიკატორი 1.2.2.1 შესაბამისობაშია

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სკოლა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგს განახორციელებს წელიწაში ორჯერ: იანვარსა და ივნისში, ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგს მისი მოქმედების განმავლობაში ორჯერ.

როგორც სკოლის ვებგვერდის ანალიზით, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, სკოლას ჯერ არ განუხორციელებია 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი .

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება სკოლამ განახორციელა 2024-2025 წელს. მიმდინარე წელს სკოლას სამოქმედო გეგმის მონიტორინგი არ განუხორციელებია.

რჩევა: სკოლამ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით განახორციელოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი .

ინდიკატორი 1.2.2.2 შესაბამისობაშია

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა
   ინდიკატორი არ ფასდება

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის ინდიკატორი არ ფასდება

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია.
- სკოლის 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სკოლის 2025-2030 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შეფასება: ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული
   სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობისა და საშტატო განრიგის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. სკოლას დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი და შემუშავებული აქვს სტრუქტურის ვიზუალური გამოსახულება/ორგანოგრამა, რაც მის ეფექტიან ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. საშტატო განრიგი ასახავს სკოლაში არსებული საკადრო ერთეულების რაოდენობას, ორგანოგრამა კი წარმოადგენს ვიზუალურ საშუალებას, რომელიც მკაფიოდ ასახავს

სკოლის მმართველობით სტრუქტურას, სტრუქტურულ ერთეულებს და პოზიციებს შორის. სკოლაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები. ყველა მათგანი სკოლაში მოქმედებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ხელს უწყობენ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას. სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ინფორმაციული მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, სსსმ პირის ასისტენტები, ექიმი, დარაჯები, დამლაგებლები და სხვა.

სკოლაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვიმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. როგორც სკოლის დირექტორთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობისა და მათი კოორდინაციისთვის ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონისა და სკოლის მიერ შემუშავებული თანამდებობრივი ინსტრუქციებით.

ინდიკატორი 3.1.1.1. შესაბამისობაშია

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სკოლამ დასახული მიზნების განხორციელებისთვის შეიმუშავა თავისი ორგანიზაციული მოწყობა. სტრუქტურული ერთეულების დებულებებით, სტრუქტურული ერთეულების აღმწერი დოკუმენტით და დასაქმებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია მათი ფუნქციები. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში მიმდინარე პროცესების დაგეგმვის, განხორცილების, მონიტორინგისა და შეფასების, გადახედვისა და რევიზიის ეტაპებს . დასაქმებულთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სტრუქტურული ერთეულების აღმწერი დოკუმენტი, სკოლის ხარისხის მართვის მექანიზმები იძლევა საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.1.2 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- საშტატო განრიგი; გაფორმებული ხელშეკრულებები;
- დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

   სკოლაში (დირექტორის ბრძანება N76 29.12.2025 წელი) დამტკიცებულია HR პოლიტიკის დამტკიცების დებულება ,რომლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანებია: დაწესებულების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ხელშეწყობა. დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება, დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

   დასახული მიზნების განხორციელებისთვის, დაწესებულება ხელმძღვანელობს პედაგოგების/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის მოზიდვის, ინტეგრაციის, განვითარების და საქმიანობის შეფასების პროცედურებითა და წესებით.

   პერსონალის მართვის პროცესები სკოლას დარეგულირებული აქვს რამდენიმე დოკუმენტში. გარკვეული საკითხები (სამუშაოს ხანგრძლივობა, შვებულება, წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა და ა.შ) დარეგულირებულია შინაგანაწესით და არ მოდის წინააღმდეგობაში კანონმდებლობასთან. დასაქმებულთა მუშაობის პირობების განსაზღვრა და სამუშაოს განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით. კერძოდ, დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების დროს გათვალისწინებულია საქართველოს შრომის კოდექსი. სკოლის პედაგოგების შერჩევის მიზნით ვაკანსიის გამოცხადება ხდება, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. დებულება „პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები „ განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ დასაქმებულთა პირად საქმეებში (დამლაგებელი, დარაჯი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი)არ იყო განათლების დამადასტურებელ დოკუმენტები.

რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლამ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან თანხვედრაში მოიყვანოს პირადი საქმეები (სკოლის დარაჯის და დამლაგებლების პირად საქმეში დაამატოს საბაზო და/ან საშუალო განათლების დამადასტურებელი მოწმობა).

ინდიკატორი 3.1.2.1 შესაბამისობაშია

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა.

სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დირექცია აანალიზებს მომავალი სასწავლო წლისთვის რა პოზიციაზე შეიძლება დასჭირდეს კადრების შერჩევა და წინასწარ აცხადებს კონკურსს. ამ რეგულაციით სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებისთვის მყისიერი ზომების მიღებას.

ინდიკატორი 3.1.2.2 შესაბამისობაშია

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა ,,მასწავლებლის/თანამშრომლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი", რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით.

ექსპერტებმა ადგილზე ვიზიტის დროს დაათვალიერეს სკოლის საკონკურსო დოკუმენტაცია, რომლითაც დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, დასაქმების გვერდზე ვაკანსიის გამოქვეყნებისას განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია. წარმოდგენილია ჩატარებული მასწავლებლის კონკურსის მასალები, რომელიც გამოცხადებული იყო teacherjobs.geზე.

პერსონალის პირად საქმეში განთავსებულია ცნობები: ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ .

ინდიკატორი 3.1.2.3 შესაბამისობაშია

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებს. სკოლაში დასაქმებულია 65 თანამშრომელი, რომელთაგან 55 მასწავლებელია, მენტორი -1, წამყვანი - 7, უფროსი -57,ისინი შერჩეულნი არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. სკოლის ექიმთან გაფორმებულია ხელშეკრულება. ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/.

პერსონალის პირადი საქმეებისა და eSchool ბაზა მონაცემების შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

ინდიკატორი 3.1.2.4 შესაბამისობაშია

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. თანამშრომლები იკრიბებიან სამუშაო შეხვედრებზე. კათედრებს სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული აქვთ სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ სხვადასხვა საკითხებს. სკოლაში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება, რომელთა ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გამოიკვეთა დასაქმებულთა ორგანიზაციული კულტურა და გუნდური მუშაობა. მასწავლებლებთან ექსპერტების გასაუბრებისას გამოიკვეთა მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრაქტიკა სკოლაში.

ინდიკატორი 3.1.2.5 შესაბამისობაშია

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წარმატებული პრაქტიკის აღიარების სხვადასხვა მექანიზმი , შინაგანაწესში მუხლი 10 ეხება დასაქმებულის წახალისების სახეებს და გამოყენების წესს:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) სიგელით დაჯილდოება;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;

ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დგინდება, რომ წარმატებული გამოცდილების გაზიარებისა და აღიარების მიზნით სკოლაში აქტიურად ტარდება სამუშაო შეხვედრები.

ინდიკატორი 3.1.2.6 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ორგანოგრამა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

- საშტატო განრიგი; საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანებები;
- საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმი;
- მონაცემთა შეგროვება და ანალიზი მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების შესახებ;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- eschool ბაზის მონაცემები;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

შეფასება: ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება. ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა. ☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სკოლის განვითარების ხელშეწყობისა და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს „მასწავლებელთა და მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენის,მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის შესახებ „ დებულება(17.01.2026 წელი).კვლევის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული საჭიროების გამოვლენა. სკოლას დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დებულება(22.12.2025 წელი ბრძანება N 66).

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში (29.12.2025 წელი ბრძანება N76) მუხლი 20 ეთმობა თანამშრომელთა პროფესიულ და კარიერულ განვითარებას. დოკუმენტში გაწერილია პერსონალის შეფასების ძირითადი მიზნები და პროცედურები. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი.

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლაში პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება სკოლის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც გამოიყენება სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის.

სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით(ბრძანება N53 12.12.2025 წელი) დამტკიცებული დებულებით(ბრძანება N66 22.12.2025 წელი) სკოლაში იმართება კონსულტაციები და სადისკუსიო შეხვედრები; სკოლა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით ახორციელებს პერსონალის საჭიროებების კვლევას.

დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს უწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ხარისხის მართვის ჯგუფის დებულებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.2.1.1 შესაბამისობაშია

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად . სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, თანამშრომელთა საქმიანობის შეფასება წარმოადგენს სკოლის საკადრო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, შეფასების შედეგების საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებების შემდეგ ხდება პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა. კერძოდ, პროფესიული განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგებისა და საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება, სხვადასხვა ტრენინგებზე, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა.

ინდიკატორი 3.2.1.2 შესაბამისობაშია

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, დასაქმებულს სკოლაში ეძლევა კარიერული წინსვლის საშუალება, კერძოდ საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე პერსონალს ეძლევა დაწინაურების საშუალება. სკოლაში არსებული

მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ეხმარება მასწავლებლებს პროფესიულ ზრდაში. კერძოდ მასწავლებლები თვითშეფასების საფუძველზე გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასავითარებლად, ხარისხის ჯგუფის დახმარებით, გეგმავენ თავიანთ პროფესიულ განვითარებას. მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით განსაზღვრულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის და კარიერული წინსვლისთვის საჭირო აქტივობები: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება და მასწავლებელთა საჭიროებების მიხედვით გადამზადების უზრუნველყოფა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის და მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების გაცნობა, გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

ინდიკატორი 3.2.1.3 შესაბამისობაშია

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში (მუხლი 18)გაწერილია ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისთვის აქტივობები, რომელსაც ახორციელებს სკოლა მარტივი ადაპტაციისთვის. პირველ რიგში, ახალ თანამშრომელს აცნობენ სასკოლო კულტურას, გარემოს, იმ დაწერილ და დაუწერელ წესებს, რომლებიც მოქმედებს სკოლაში. ხდება, ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებისა და ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა, სასკოლო საზოგადოებისთვის წარდგენა და სკოლის თუ კათედრების დახურულ ჯგუფებში გაწევრიანება. აღნიშნულ დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია, კათედრების, დირექციისა და ადმინისტრაციის როლებსა და ფუნქცია-მოვალეობებზე ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესში. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და წარმოდგენილ დოკუმენტზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

ინდიკატორი 3.2.1.4 შესაბამისობაშია

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და სკოლის შინაგანაწესით წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. კერძოდ, შეფასების შედეგების შესაბამისად განსაზღვრულია თანამშრომლის წახალისების ფორმები: პრემია, მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და სხვა. სკოლის ადმინისტრაცია სისტემატურად აწვდის ინფორმაციას პერსონალს განათლების სისტემაში მიმდინარე კონკურსებისა თუ საგრანტო შესაძლებლობების, პროფესიული განვითარების პროექტების შესახებ და გამოხატავს მზაობას, მხარი დაუჭიროს მათ ინიციატივებს აღნიშნულ პროექტებსა თუ პროგრამებში ჩართვასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 3.2.1.5 შესაბამისობაშია

. დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

- სკოლის შინაგანაწესი;
- პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- მასწავლებელთა საჭიროების მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის დოკუმენტი.
- შეფასება: ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება. ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა
3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროფესიულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს.
   სკოლას შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“, რომელიც მიზნად ისახავს სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესების ხარისხის მართვის რეგულირებას, აგრეთვე ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ღონისძიებების განსაზღვრას. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი ხარისხის განვითარების ინდიკატორები, რომლებიც მრავალმხრივ მოიცავს

საგანმანათლებლო საქმიანობის მნიშვნელოვან კომპონენტებს, მათ შორის: საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსობრივი და სტრუქტურული შეფასება; სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის მონიტორინგი; სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის შეფასება; ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება; ადამიანური რესურსების შეფასება და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; სკოლის მატერიალური რესურსების განვითარება და ეფექტიანი გამოყენება. აღნიშნული მიდგომები ხაზს უსვამს სკოლაში ხარისხის მართვის სისტემის არსებობის მნიშვნელობას და სკოლის დამოკიდებულებას. დოკუმენტით გაწერილია ვალდებულება, რომ სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისას დაეყრდნობა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს.

ინდიკატორი 3.3.1.1. შესაბამისობაშია

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლას დოკუმენტურად აქვს გაწერილი სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში. მმართველობითი პროცესები უკავშირდება სკოლის საქმიანობის დაგეგმვასა და კონტროლს. მასში იგულისხმება სხვადასხვა პროცესების დაგეგმვა, მისი განხორციელების მონიტორინგი და შეფასება (სტრატეგიული დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა და წლიური დაგეგმვა). ძირითად პროცესად სკოლაში განისაზღვრება: სასკოლო კურიკულუმის შემუშავება/გაუმჯობესება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. მმართველობით და ძირითად პროცესებთან ერთად სკოლა ახორციელებს ისეთ დამხმარე პროცესებს, როგორიცაა მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, მატერიალური რესურსის მართვა, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საქმის წარმოება (დოკუმენტბრუნვა) და სხვა. დირექციასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მათ გააზრებული აქვთ აღნიშნული პროცესების მნიშვნელობა და როლი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისთვის.

ინდიკატორი 3.3.1.2. შესაბამისობაშია

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლაში არსებობს განცხადებებისა და საცივრების განხილვის წესი (18.12.2025 წელი ბრძანება N56), რომლის მოქმედებაც ვრცელდება სასკოლო საზოგადოების წევრებზე (მოსწავლე, მშობელი, თანამშრომელი) .აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სკოლა არეგულირებს, რომ საჩივრის განხილვის სისტემა იყოს მიუკერძოებელი და გამჭვირვალე .დოკუმენტი აღწერს საჩივრის წარდგენის ფორმას, ვადებს, ითვალისწინებს

კომისიის ფორმირებას ინტერესთა კონფლიქტის გარეშე, დისციპლინური სახდელის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ზოგად წესს და ასევე მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების დეტალურ წესს. სკოლაში ფუნქციონირებს ასევე დისციპლინური კომიტეტი. სკოლის დირექციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ აღნიშნული დოკუმენტის გამოყენების პრაქტიკა არ ჰქონია, რადგან არ დაფიქსირებულა საჩივარი.

ინდიკატორი 3.3.1.3. შესაბამისობაშია

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები სკოლაში რეგულირდება როგორც პერსონალის, ასევე მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვა. სკოლას აქვს შემუშავებული შინაგანაწესი, რომელიც მოიცავს თანამშრომლების შრომითი უფლებების სრულ სპექტრს, მათ შორის: სამუშაო დროისა და რეჟიმის განსაზღვრას, ანაზღაურების წესსა და შვებულების გაცემის პირობებს, შრომის დაცვის წესებს, საჩივრების განხილვის ზოგად მექანიზმებს, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს.

მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მიზნით შემუშავებულია სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია სკოლის შიდა რეგულაციები, სკოლის ტერიტორიაზე ქცევის ზოგადი წესები, დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და მათზე რეაგირების მექანიზმები. შინაგანაწესში ცალკეა გაწერილი მასწავლებლის დისციპლინური წარმოების წესი, ცალკეა - მოსწავლის მიმართ დისციპლინური წარმოება.

თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ხოლო მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას__შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა დაწესების გაცნობის მიზნით. თანამშრომლები უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას იღებენ ხელშეკრულების პირობების, სკოლის შინაგანაწესის გაცნობით.

რჩევა: სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს სკოლაში დასაქმებულთათვის შინაგანაწესის გაცნობის ხელმოწერით დადასტურება.

ინდიკატორი 3.3.1.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;

- სასკოლო სასწავლო გეგმა; დისციპლინური კომიტეტის ოქმები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- საჩივრებისა და განცხადების განხილვის წესი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

   სკოლის მიერ სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება სხვადასხვა საშუალებებით. სკოლის ფოიეში გამოკრულია შინაგანაწესი. სკოლას აქვს ვებ. გვერდი, სოციალური ქსელი, სადაც თავსდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია. სასწავლო წლის განმავლობაში დამრიგებლები მართავენ მშობელთა კრებებს, სადაც აცნობენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მარეგულირებელ დოკუმენტებს, სასკოლო სასწავლო გეგმას, შინაგანაწესს, აწვდიან ინფორმაციას სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების, პროექტებისა და ექსკურსიების შესახებ, იხილავენ სასწავლო პროცესში წამოჭრილ პრობლემებს და სთავაზობენ პრობლემის გადაჭრის გზებს. ყოველივე ზემოთ აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი სამეურვეო საბჭოს, პედ. საბჭოსა და მშობელთა კრების ოქმებით.

ინდიკატორი 3.3.2.1. შესაბამისობაშია

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობას სკოლის მართვაში.

ინდიკატორი 3.3.2.2 შესაბამისობაშია

- დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები; დისციპლინური კომიტეტის ოქმები;
- სკოლის ფეისბუქ -გვერდი და მესინჯერ-ჯგუფები.

შეფასება: ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება. ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა .

სკოლაში , ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური. სკოლის შენობის შემოსასვლელი

კონტროლდება კარისკაცის მიერ. მიმდინარეობს ვიზიტორთა აღრიცხვა. მოსწავლეებს სკოლის ტერიტორიის დატოვება შეუძლიათ დამრიგებლის თანხმობით, საშვის გამოყენებით .სკოლის შენობაში განთავსებულია ვიდეო-მეთვალყურეობის სისტემა.

სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, სასწავლო ნაწილი, რომელიც ზედამხედველობს ფიზიკური და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს:

- უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა(15/01/2026 MIA 8 26 00136032)
- სკოლას აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ;
- სკოლამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულება შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შემოწმების შესახებ შესახებ(09.10.2026 წელი).
- სკოლაში არის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ჩადების ფაქტზე ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირი .ფიზიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (დამტკიცების ბრძანება N1/3-10 8.06.2017 წელი)

რეკომენდაცია : სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში(2026 წლის აპრილი-2027 წლის სექტემბერი) წარმოადგინოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

რჩევა: სასურველია, სასწავლო წლის ბოლომდე სკოლამ აიყვანოს / დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას

2.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას სკოლაში არის სამედიცინო კაბინეტი. სკოლის ტერიტორიაზე პირველად სამედიცინო დახმარებას უზრუნველყოფს სკოლის ექიმი. სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების აღრიცხვა ხდება სააღრიცხვო ფორმის საშუალებით.

სკოლამ შეიმუშავა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. დაიწყო დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვა. სკოლის სამედიცინო კაბინეტი აღიჭურვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 38 ბრძანება №01-41/ნ-ის შესაბამისად, გააკეთეს შირმა.

ინდიკატორი 3.4.1.2 შესაბამისობაშია

3.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები. კერძოდ, შინაგანაწესით რეგულირდება სკოლაში დისციპლინური საკითხები.

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს 3 მანდატური. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი. წესის მიზანია: ა. ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება; ბ. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; გ. უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა;

საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელია სკოლის დირექცია. სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია დირექტორის მოადგილე (16.01.2019 წელი).უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა ყველა სართულზე; სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სკოლას აქვს საშვთა სისტემა. სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილება კონტროლდება კარისკაცის მიერ. დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი უზრუნველყოფს თავისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების გაცდენების კონტროლს და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მორიგე მასწავლებლები.

ინდიკატორი 3.4.1.3 შესაბამისობაშია

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. კერძოდ, სასკოლო კურიკულუმი და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები, საგნობრივი კურიკულუმებით დაგეგმილი შემოქმედებითი დავალებები, სკოლის სადამრიგებლო

პროგრამით გათვალისწინებულია თემები მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. სკოლაში ბევრია საზიარო სივრცეები, რომელთა არსებობა მოსწავლეებს ეხმარება სოციალიზაციის პროცესში.

ინდიკატორი 3.4.1.4 შესაბამისობაშია

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას .ამ მიზნით, სკოლას ჰყავს 3 დამლაგებელი და 2 დარაჯი. სკოლის შენობაში ,ყველა სართულზე არის გამიჯნული სველი წერტილები, ბიჭებისთვის, გოგონებისთვის და პერსონალისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სველი წერტილები უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი.

ინდიკატორი 3.4.1.5შესაბამისობაშია.

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას შემუშავებული აქვთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ (20.12.2025 წელი ბრძანება N 64).სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი და უფლებამოსილი პირი -სკოლის საქმისმწარმოებელი (ბრძანება Nკ-31 29.09.2015 წელი).

აღნიშნული წესი და მექანიზმები მოიცავს: მონაცემთა დაცვის პრინციპებს, პერსონალური მონაცემების დამუშავებას, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნებს, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვას ელექტრონული პროგრამის (Teams) გამოყენებისა და ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, ვიდეო-თვალთვალის განხორციელებისას, ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენებისას, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმისა და ელექტრონული ბაზის წარმოებისას. განსაზღვრულია მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება. განსაზღვრულია მონაცემთა დაცვის მონიტორინგის მექანიზმები. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც საჭიროებიდან გამომდინარე უწევს სკოლებს მხარდაჭერას. სკოლაში რეგისტრაციის დღიდან იწყება მოსწავლეთა მონაცემების დამუშავება და გრძელდება მთელი სასწავლო ცხოვრების მანძილზე.

ინდიკატორი 3.4.1.6 შესაბამისობაშია

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. კერძოდ, სკოლის მიერ შემუშავებული ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესში(ბრძანება N 65.20.12.2025 წელი) დეტალურადაა გაწერილი, მონაცემთა დაცვის მონიტორინგის ფორმები, სკოლის ვალდებულებაა უზრუნველყოს არსებული მონაცემების დაცვა შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე დაიცვას ელექტრონული ინფორმაცია არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული.

ინდიკატორი 3.4.1.6 შესაბამისობაშია

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. რაზეც საუბარია სკოლის დირექტორის ანგარიშში.

ინდიკატორი 3.4.1.8 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- დამლაგებლებთან გაფორმული ხელშეკრულები;
- დარაჯთან გაფორმებული ხელშკრულება;
- ექიმთან გაფორმებული ხელშკრულება;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების დოკუმენტი.

შეფასება: ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

   გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლა განთავსებულია 19700,00 კვ. მ მიწის ფართობზე. სკოლაში განთავსებულია: საკლასო ოთახები, სპორტული დარბაზი, სველი წერტილები, ექიმის კაბინეტი,, სასადილო ოთახი, მანდატურების ოთახი, ორი რესურს ოთახი, ბიბლიოთეკა ,ქიმიის კაბინეტი, ფიზიკის კაბინეტი, საცავი, სააქტო დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, საქმის წარმოების ოთახი, არქივი. შიდა და გარე სპორტული მოედანი. სკოლას აქვს იჯარით გაცემული ორი ფართი, სადაც ფუნქციონირებს ცეკვის წრე და ბუფეტი .ამჟამად სკოლაში ირიცხება 659, მათ შორის 18 სსსმ მოსწავლე, სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს დადგენილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობას 850 მოსწავლეს. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლაში არის 1281 მერხი, 853 სკამი.

სკოლას დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (დირექტორის - ბრძანება N 60.2012.2025.) რითაც განსაზღვრულია სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი როგორ გამოიყენონ მოსწავლეებმა სხვადასხვა აქტივობების ჩატარებისა და დასვენებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს საზიარო სივრცეებით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს საზიარო სამუშაო სივრცეების გამოყენების წესებსა და პირობებს .

ინდიკატორი 3.5.1.1 შესაბამისობაშია

2. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს. წიგნები დამოწმებულია ბიბლიოთეკის ბეჭდით. სკოლას შედგენილი აქვს ბიბლიოთეკის დებულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, გაწერილია მუშაობის განრიგი და ბიბლიოთეკაში ქცევის წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკაში წიგნები განლაგებულია ანბანური თანმიმდევრობითა და ჟანრობრივი

მახასიათებლების მიხედვით .ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო . მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ადგილზე წაიკითხონ წიგნები, დაგეგმონ და ჩაატარონ სხვადასხვა სახის ღონისძიებები.

ინდიკატორი 3.5.1.2 შესაბამისობაშია

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს მოქმედი ლიფტის და პანდუსის საშუალებით. ადაპტირებულია სველი წერტილები. მოწესრიგებული და აღჭურვილია რესურსოთახი შესაბამისი რესურსებით.

ინდიკატორი 3.5.1.3 შესაბამისობაშია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის დერეფნები არის ფართო. სკოლაში თავისუფალი სივრცეები ქმნის ხელსაყრელ პირობებს სხვადასხვა შემეცნებითი აქტივობების განსახორციელებლად. სკოლას აქვს დიდ, კარგად მოწყობილი სააქტო დარბაზი, სკოლის ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სკოლის ეზო და ფართო და ნათელი დერეფნები, მრავალფეროვანი ღონისძიებების ჩატარების საშუალებას იძლევა. დერეფანში განთავსებულია მრავალფეროვანი აქტივობების ამსახველი ფოტო სურათები, მოსწავლეთა ნამუშევრების გალერეა, რაც ქმნის ჰარმონიულ და სასიამოვნო ატმოსფეროს და ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას და უზრუნველყოფს სკოლა ჩამოყალიბდეს ერთიან სოციო-კულტურულ სივრცედ.

ინდიკატორი: 3.5.1.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;
- ინვენტარიზაციის შედეგები;
- შენობის დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი ვადის დასრულების ოქმი;
- ბიბლიოთეკის დებულება.

შეფასება: ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება. ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლაში მოქმედი 85კომპიუტერიდან 60 ლეპტოპია ,27 პერსონალური კომპიუტერი. კომპიუტერულ კლასში ხელმისაწვდომია 24 პერსონალური კომპიუტერი და 1 ლეპტოპი; სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით: 6 პროექტორით, 6 პრინტერ-სკანერის აპარატით. სკოლის მთელი ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით, აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერით. სკოლა სარგებლობს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემით EFLOW და ESCHOOL. რომელსაც იყენებენ როგორც მასწავლებლებთან ან სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, ასევე მესამე პირებთან ურთიერთობისათვის.

ინდიკატორი: 3.6.1.1. შესაბამისობაშია

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესი . კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის სკოლის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. კომპიუტერულ ლაბორატორიაში მუშაობის წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

ინდიკატორი: 3.6.1.2. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების გეგმა (გაწერილია ციფრული განვითარების პუნქტები);
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტები).

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი სკოლას აქვს დირექტორის 2025 წლის 20 იანვარის N 58 ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი საქმისწარმოების დებულება „ .საქმისწარმოების ინსტრუქციები შემუშავებულია ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად. იგი არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებს, ელექტრონულ და მატერიალურ დოკუმენტბრუნვის სისტემას. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომელიც ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას. საქმისწარმოების მასალების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლაში საქმისწარმოება ხდება შესაბამისი ინსტრუქციების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 3.6.2.1. შესაბამისობაშია

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა დაწესებულება იყენებს საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას Eflow როგორც შიდა ისე გარე კომუნიკაციისათვის. იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, ისეთს როგორიცაა Google, Office 365 და სხვა პლატფორმები. სკოლას აქვს ESCHOOL.EMIS.GE ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმეთამმართველი და საინფორმაციო მენეჯერი.

მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ის სისტემის მეშვეობით.

ინდიკატორი 3.6.2.2. შესაბამისობაშია

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

სსიპ -გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახავს ყველა სავალდებულო ინფორმაციას.

ინდიკატორი 3.6.2.3. შესაბამისობაშია

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; სკოლას აქვს ESCHOOL.EMIS.GE საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი 3.6.2.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი (ბრძანება) ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- შემოსული და გასული კორესპონდენციები;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა წესი, რომელშიც ინფორმირებისა და კომუნიკაციის მთავარ ინსტრუმენტებად განსაზღვრულია ელექტრონული ფოსტა და ფეისბუქის გვერდი. აღნიშნული არხებით სკოლა პერიოდულად ავრცელებს ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე და განხორციელებული აქტივობების შესახებ. მასწავლებლებმა ინტერვიუში დაადასტურეს, რომ თანამშრომლებთან საკომუნიკაციოდ გამოიყენება დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში. დამრიგებლებს შექმნილი აქვთ მსგავსი ჯგუფები მშობლებთან კომუნიკაციისთვისაც. აღნიშნული ჯგუფებით ინფორმაციის გავრცელების ეფექტიანობა დაადასტურეს მშობლებმაც. დამატებით

საკომუნიკაციო საშუალებებად სკოლა ასევე იყენებს განცხადებების დაფას სკოლის სივრცეში და სატელეფონო კომუნიკაციას. მშობლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით, რომლის საშუალებითაც ისინი ეცნობიან ინფორმაციებს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენის შესახებ .გამარჯვების საჯარო სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე უფლებამოსილი პირი განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებით(N კ-37 14.09.2025 წელი).

სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდიც, რომელზეც განთავსებული აქვს სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია და დაინტერესებულ პირებს აქვთ საშუალება, გაეცნონ სკოლის სხვადასხვა დოკუმენტს. ვებგვერდისა და სოციალური ქსელის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირად სკოლას განსაზღვრული ჰყავს საქმისმწარმოებელი. ინდიკატორი 3.6.3.1. შესაბამისობაშია

2.სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლა უზრუნველყოფს საქმიანობის, მათ შორის განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; სკოლის ვებ-გვერდის შესაბამის გვერდზე განთავსებულია სხვადასხვა მნიშვნელოვანია დოკუმენტები. ფეისბუქ გვერდზე განთავსებულია სასკოლო აქტივობების დამადასტურებელი მასალები და ინფორმაცია კონკურსებში მონაწილეობის შესახებ. ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

ინდიკატორი 3.6.3.2 შესაბამისობაშია

3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სკოლას აქვს შემუშავებული საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი. კომუნიკაციისთვის სკოლა იყენებს ელექტრონული ჟურნალებს; მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრებს; ტელეფონს და საინფორმაციო დაფას. სოციალურ ქსელში მასწავლებლებს შექმნილი აქვთ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან კომუნიკაციის მიზნით დახურული ჯგუფები ან ჩათები, რომლის საშუალებითაც მუდმივად აწვდიან ინფორმაციას სასწავლო პროცესში მიმდინარე ცვლილებებისა და სიახლეების შესახებ. სკოლის ვებგვერდის შესაბამის გვერდზე განთავსებულია სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე შესაძლებელია ფეისბუქ გვერდზე მიწერა. სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი , რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. ინდიკატორი 3.6.3.3 შესაბამისობაშია

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე,ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლის ვებ გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4 შესაბამისობაშია

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, ორგანოგრამა, სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც გაწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები და სკოლის მიერ განსახორციელებელი პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები. საფეხურის დაძლევის პირობები. შეთავაზებული სერვისები ასევე გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის შინაგანაწესი და განცხადებისა და საჩივრების წარდგენის წესი.

რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლამ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები.ასევე , ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში.

ინდიკატორი 3.6.3.5 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

• ვებ-გვერდზე შესაბამისი გვერდი

• ფეისბუქ გვერდი შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება. ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

დაწესებულებას სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს თითოეული აქტივობის შესაბამისი ფინანსური რესურსი, დაწესებულების საპროგნოზო ბიუჯეტით დასტურდება დაწესებულების, როგორც სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული, ისე მიმდინარე, საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილი იქნება სათანადო ფინანსური რესურსით.

რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლამ სამოქმედო გეგმაში გადაიტანოს სტრატეგიული გეგმის ამოცანა ”მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება“ და შესაბამისი რესურსები გაწეროს სკოლის ბიუჯეტში.

ინდიკატორი 3.7.1.1. შესაბამისობაშია

2.სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლის დირექტორსა და ბუღალტერათან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ფინანსური დაგეგმვისას ხდება წინა სასწავლო წლის ფინანსური ანალიზი და შემოსავლების პროგნოზირება. საჭიროების შემთხვევაში, ხდება ბიუჯეტის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს (10 დეკემბრამდე) დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. სკოლა რესურსცენტრს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში წარუდგენს ინფორმაციას, 6 თვეში ერთხელ ფინანსურ ბალანსს ტვირთავს ხელშეკრულებებს SMR-ში, შესყიდვების გეგმას კი - EPLAN მოდულში.

ინდიკატორი 3.7.1.2 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტი;
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები;
- დაფინანსების ანალიზის შედეგები;

- სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგები;

შეფასება: ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება. ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესი (სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული 2022 წლის 20 ოქტომბრის N5 სხდომის ოქმით). აღნიშნული დოკუმენტით დარეგულირებულია მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები, განსაზღვრულია წახალისების ფორმები, დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესი, დისციპლინური წარმოებისა და სახდელის მოხსნის საკითხები. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია (01.09.2023 წელი ბრძანება N 6-15) „მოსწავლის კანონით განსაზღვრული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მექანიზმი“.

მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც ფორმდება სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის. უზრუნველყოფილია კონფიდენციალურობა (მათ შორის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ).

მოსწავლეებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლაში თავს დაცულად გრძნობენ, თითოეული მათგანი დაცულია არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან. იცნობენ სკოლის შინაგანაწესს და იციან ვის უნდა მიმართონ კანონით გათვალისწინებული უფლებების დასაცავად.

სკოლა უზრუნველყოფს პირველკლასელი და ახალად გადმოსული მოსწავლეების სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას. სკოლას თითოეული მათგანი აღნიშნავს, რომ ახალ გარემოსთან შეგუება გაუადვილა სასკოლო საზოგადოებამ (დირექციამ, მასწავლებლებმა და ბავშვებმა). სკოლის თითოეული მოსწავლისათვის განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად სკოლას მიღებული აქვს ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი დოკუმენტი - „ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა“.

მოსწავლეთა უფლებების დასაცავად სკოლაში არსებობს დისციპლინური კომიტეტი, არსებობს განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი (N954814 ბრძანება). სასკოლო საზოგადოება იცნობს და იცავს წესს „ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციას“, რომელიც შემუშავებულია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დასაცავად (05.09.2024 წელი
N 6-30).

დოკუმენტში ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“ (16.09.2025 წელი ბრძანება N 6-48) დეტალურად არის გაწერილი მოსწავლეთა პირადი მონაცემების დაცვის მექანიზმები; სკოლაში დირექტრის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი(2025 წლის 1 აპრილის N-360429 ბრძანებით).სასკოლო სასწავლო გეგმაში ერთი თავი ეთმობა მოსწავლეთა უფლებების დაცვას სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 4.1.1.1. შესაბამისობაშია
2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს, აცნობს უფლებებს და მოვალეობებს, სკოლის შინაგანაწესს, ქცევის წესებს, სკოლის შიდა რეგულაციებს. უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები ასევე ხელმისაწვდომია სკოლის ვებ. გვერდზე, გაზიარებულია სკოლის ფეისბუქ გვერდზე, გამოკრულია ფოიეში.

მოსწავლეებთან გასაუბრებისას ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ მოსწავლეები სრულად არიან ინფორმირებული სასკოლო რეგულაციებზე, იციან მაგ: კონკრეტული იდეის ინიცირების, გაზიარების/განხორციელების მიზნით ვის და როდის უნდა მიმართონ, იციან თავიანთი უფლება-მოვალეობები.

ინდიკატორი 4.1.1.2. შესაბამისობაშია

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

მოსწავლეთა მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, სწავლის ღირებულება და ანაზღაურების პირობები, ხელშეკრულების პირობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა შეთანხმებასაც ორივე მხარე ადასტურებს ხელმოწერით.

ინდიკატორი 4.1.1.3შესაბამისობაშია

დასტურდება(მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი, დანართი N-19
- გასაჩივრების პროცედურები -ბრძანება დანართი N-30
- სკოლასა და მშობელს შორის დასადები ხელშეკრულება დანართი N-64
- სადამრიგებლო გეგმა; დანართი N-65
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება; დანართი N-66
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები დანართი N-111

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის

გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების დოკუმენტი , რომელიც არეგულირებს ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და არეგულირებს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს არეგულირებს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. ამ გუნდის

რეკომენდაციების გათვალისწინებით შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. გეგმაში გაწერილი მიზნების შესაბამისად ხდება სსსმ მოსწავლის შეფასება, რაც საფეხურის დაძლევის საფუძველია. საფეხურის დაძლევის გამჭირვალე მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში.

ინდიკატორი 4.1.2.1 შესაბამისობაშია

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს. სკოლაში მოსწავლეთა მიღება ხდება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი ნორმებისა და პროცედურების შესაბამისად. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება სკოლის მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში (სკოლის ფართის გათვალისწინებით). მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

ინდიკატორი 4.1.2.2შესაბამისობაშია

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

   დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სკოლის ვებ. გვერდისა და ფეისბუქ გვერდის საშუალებით ხელმისაწვდომია ყველა სიახლე და სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალა. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნომრები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე დასტურდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები და პროგრამები, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ინდიკატორი 4.1.2.3 შესაბამისობაშია

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის ვებ. გვერდისა და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით მოსწავლეებს სთავაზობს იმ საგნობრივ პროგრამებს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს, სხვადასხვა სერვისებსა და სასკოლო აქტივობებს, რომლებიც ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას.

ინდიკატორი 4.1.2.4შესაბამისობაშია
დასტურდება(მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/ აღდგენისა და შეჩერების წესი;
- სკოლის ვებ გვერდითა და სოციალური ქსელი
- მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები;
- საერთო ბრძანებები. შეფასება:
  ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება. ○ შესაძლებელია
  მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი

სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლის,მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ამ მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი - (2025 წლის 12 ივნისის N-658846 ბრძანება.), სადაც განსაზღვრულია მხარდამჭერი ღონისძიებები და აქტივობები. მუხლი 7-ის მიხედვით განსაზღვრულია მოსწავლეთა მიღება, სწავლის დაწყების პირველი დღეს, რა დროსაც სასწავლო წლის პირველი დღე ტარდება განსხვავებული ფორმატით. ეწყობა საზეიმო დახვედრა.

სკოლის ადაპტაციის მექანიზმი ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის სწავლისთვის მზაობის დადგენას, რაც მოიცავს სამ სფეროს: ფიზიკურს, ფსიქოლოგიურსა და პიროვნულს. სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოში ადაპტაციის მექანიზმები გაწერილია „სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის“ დოკუმენტში და არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი.

მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა ახალ მოსწავლეს უწევს დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით. აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობელს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევებსა თუ თავისებურებებზე. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს მოსწავლის განწყობას სასკოლო ცხოვრების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფთან საუბრისას მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ ახალგადმოსული მოსწავლისათვის შექმნილია კეთილგანწყობილი გარემო .ისინი ძალიან მალე თავს სასკოლო კულტურის ნაწილად თვლიან.
ინდიკატორი 4.2.1.1შესაბამისობაშია

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი - (2025 წლის 12 ივნისის N-658846 ბრძანება.). ახალი მოსწავლის წარმატებულ ადაპტაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს დირექციის, მასწავლებლისა და დამრიგებლის პოზიტიური დამოკიდებულება და პროფესიული უნარები. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს და მოსწავლეებს, აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს; სკოლა უზრუნველყოფს ახლად ჩარიცხული მოსწავლისათვის სასკოლო გარემოს დათვალიერებას (დარბაზი, ლაბორატორია, კაბინეტები, ეზო, სპორტდარბაზი და ა.შ).
ინდიკატორი 4.2.1.2შესაბამისობაშია

3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მოსწავლეებს სკოლა პირადი შეხვედრისას, კლასის კრებაზე აწვდის ინფორმაციას, აკადემიური მოსწრების, ექსტერნის და საშემოდგომო გამოცდის, ნიშნის

ასამაღლებელი გამოცდის, შეფასების კრიტერიუმების შესახებ. სკოლა მოსწავლეს სთავაზობს დახმარებას გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ამისთვის შემუშავებული აქვთ რემედიაციის წესი.

მშობლებთან და მოსწავლეებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები საჭიროების მიხედვით უტარებენ მოსწავლეებს საგნობრივ კონსულტაციებს/დამატებით მეცადინეობას, რისთვისაც სკოლას ახორციელებს მოსწავლეთა მხარდაჭერის, აკადემიური შედეგების გაუმჯობესების ღონისძიებებს. ძირითადად, ეს ხდება სწავლის დასრულების შემდგომ არასაგაკვეთილო დროს. მასწავლებლები მიმდინარე შეფასებების და შემაჯამებელი დავალებების შესრულების შემდეგ მოსწავლეებს აძლევენ შესაბამის კონსტრუქციულ უკუკავშირს.

ინდიკატორი 4.2.1.3შესაბამისობაშია

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (შინაგანაწესი; სასკოლო სასწავლო გეგმა; სადამრიგებლო პროგრამა და სხვა) დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწავლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. ასევე აცნობენ შინაგანაწესით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლის ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის და სარეგისტრაციო ჟურნალების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (სხვა სკოლაში გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, მოსწავლის ცნობის მოთხოვნა და სხვ,) რეაგირება ხდება დადგენილ და განცხადებებში მოთხოვნილ ვადებში.

სსსმ მოსწავლის შემთხვევაში საგნის მასწავლებლები ცდილობენ დავალებების მორგებას - ადაპტირებას მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით. როგორც ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს დადგინდა, სპეციალური მასწავლებელი წინასწარ შედგენილი გრაფიკის საშუალებით ახორციელებს სსსმ მოსწავლეებთან დამატებით მუშაობას რესურსოთახში. გრაფიკი შედგენილია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებების გათვალისწინებით.

სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა მონაწილეობის საკითხებში ჩართულია როგორც სკოლის ადმინისტრაცია, ასევე კათედრები.

ინდიკატორი 4.2.1.4 შესაბამისობაშია

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა წახალისების ფორმები:
ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება.
სკოლის მიერ დაგეგმილი საკლუბო, საწრეო და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია თავსდება სკოლის ვებ. გვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. სკოლაში დასაქმებულია სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირები, რომელთა ჩართულობითაც უზრუნველყოფილია მოსწავლეების დახმარება არაფორმალური აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელების მიმართულებით.
დირექტორის 2026 წლის 15 იანვრის N-22826 ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი დოკუმენტი.მოსწავლეს ან მოსწავლეთა გარკვეულ ჯგუფს შეუძლია ინიციატივით მიმართოს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობას კლასის დამრიგებელს დირექციას და ჩაერთოს ინიციატივის განხილვის პროცესში. მოსწავლეთა ინიციატივების განსახორციელებლად სკოლას შეუძლია ფინანსური რესურსის მობილიზება.

მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მხარდაჭერილი და წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. მოსწავლეთა ინიციატივით ჩატარდა: საქველმოქმედო აქცია, სპორტული და ინტელექტუალური შეჯიბრებები.
სკოლის მასწავლებლის და მოსწავლეების ინიციატორთა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდის მიერ გამოცხადებულ საჯარო სკოლების საგრანტო კონკურსში და გაიმარჯვა.
სკოლას ფონდისგან გადაეცემა 8 000 ლარი, რომელიც სრულად მოხმარდება პროექტში წარმოდგენილ ინფრასტრუქტურულ და საგანმანათლებლო მიზნებს და STEAM მიმართულებით მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებას, კრიტიკული აზროვნებისა და პრაქტიკული უნარების განვითარებას. სკოლის ბაზაზე წარმატებით ფუნქციონირებს ქორეოგრაფიული ანსამბლი „საჯეირნო“.
სკოლის მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა გამოფენებში, საგნობრივ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში. სკოლას ჰყავს საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული მოსწავლეები ძიუდოში. ქვემო ქართლის რეგიონალური სასკოლო ლიგის გამარჯვებულია სკოლის გოგონათა გუნდი ფრენბურთში.
სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულები საკუთარი ინიციატივით მოსწავლეებისათვის მართავენ შეხვედრას რობოტექნიკის მიმართულებით.
მშობლებმა, ინიციატივა და ხელმოწერებით მიმართეს სკოლის დირექციას 1-6 კლასში მოსწავლეთა ფორმების შემოღებასთან დაკავშირებით. დირექციამ განიხილა საკითხი და სამეურვეო საბჭოსთან და პედ. საბჭოსთან შეთანხმებით შემოიღო სავალდებულო ფორმები 1-6 კლასში. სკოლამ გამოაცხადა კონკურსი ლოგოს შესარჩევად. აღნიშნულ კონკურში მონაწილეობა მიიღეს სკოლის მოსწავლეებმა. გაიმაჯვა ერთ-ერთი მოსწავლის მიერ დამზადებულმა ლოგომ. აღნიშნული ლოგო ამშვენებს მოსწავლეთა ფორმებს.
ინდიკატორი 4.2.1.5შესაბამისობაშია
6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, უკუკავშირის გათვალისწინებით სკოლა განსაზღვრავს ინტერვენციებს. მასწავლებლები გასაუბრებისას ადგენენ საჭიროებებს კლასის საათზე , მოსწავლეთა თვითმმართველობასთან. რომლის ანალიზის საფუძველზეც, შესაძლებლობის ფარგლებში დგება გასატარებელი ღონისძიებების ნუსხა მოსწავლეთა მოთხოვნებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

რჩევა: სკოლამ მოსწავლეთა მომსახურების ხარისხის გაზრდის მიზნით შეიმუშაოს კმაყოფილების კითხვარი.

ინდიკატორი 4.2.1.6 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები. სადამრიგებლო დებულება და საქმიანობა;

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- არაფორმალური აქტივოების ამსახველი დოკუმენტაცია; მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- ტრანზიციის დებულება;
- განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები სოციალურ ქსელში.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის
   კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლაში სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ახორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზაციის მიზნით. მოსწავლეები ეცნობიან ცალკეულ პროფესიებს და დასაქმების შესაძლებლობებს. სკოლაში მოდიან სტუმრები, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან შესახვედრად და პროფესიებზე სასაუბროდ. სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ააიპ საქართველოს რობოტიკის ასოციაციასთან, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, პროფესიულ კოლეჯთან "იკაროსი".

როგორც სკოლის წარმომადგენლებმა და მოსწავლეებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს სკოლას ესტუმრნენ პროკურატურისა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები.

ინდიკატორი 4.2.2.1. შესაბამისობაშია

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

სკოლისთვის მნიშვნელოვანი საკითხია კარიერული დაგეგმვის პროგრამის შემუშავება და აღნიშნულ პროცესში მშობელთა ჩართულობა. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში კლასის დამრიგებლები და თვითმმართველობის წევრები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში. სკოლაში ხშრად იწვევენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს.

ინდიკატორი 4.2.2.2. შესაბამისობაშია

2. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა მხარი დაუჭიროს მოსწავლეების მიერ ინიცირებული პროექტებს, მიიღოს მათგან უკუკავშირი და გამოიყენოს მომდევნო წლის აქტივობების დასაგეგმად.

ინდიკატორი 4.2.2.3 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სადამრიგებლო დებულება და საქმიანობა;

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- არაფორმალური აქტივოების ამსახველი დოკუმენტაცია;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- ტრანზიციის დებულება;

- განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები სოციალურ ქსელში.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

2025-2026 სასწავლო წელს სკოლაში ირიცხება 18 სსსმ მოსწავლე. ბრძანება N72 არეგულირებს სსსმ მოსწავლის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციას. სკოლა ხელმძღვანელობს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის მიხედვით .სკოლაში ბრძანებით დამტკიცებულია ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავების ჯგუფი. ისგ ჯგუფები პერიოდულად იკრიბება და განიხილავს სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებულ სწავლების საკითხებს. აღნიშნული დასტურდება ისგ ჯგუფების ოქმებით.

სკოლაში ფუნქციონირებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც წლის ბოლოს განხორციელებული აქვს შიდა მონიტორინგი და შედგენილია დასკვნა. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის მიერ დგება ინტერვენციის გეგმები. სკოლას ჰყავდა 3 სპეც. მასწავლებელი. სკოლამ წარმოადგინა ინდ. გეგმები საგნობრივი მიმართულებებით. შეფასება და მონიტორინგი ხორციელდება შიდა მონიტორინგის წესის შესაბამისად.

სკოლაში არის ორი რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და სასწავლო რესურსებით. მოსწავლეებისათვის შედგენილია რესურს-ოთახით სარგებლობის განრიგი. სასწავლო პროცესში სსსმ მოსწავლეთა ჩართულობაზე ზრუნავს სამი ასისტენტი.

ინდიკატორი 4.2.3.1. შესაბამისობაშია

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლის წარმომადგენლებთან, მასწავლებელთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების შესახებ. სსსმ მოსწავლისთვის შექმნილია ისგ ჯგუფი, რომელშიც შედის კლასის დამრიგებელი, მოსწავლის მშობელი, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი (სპეციალური მასწავლებელი) და საგნის მასწავლებლები. ისინი მუშაობენ თანამშრომლობის პრინციპით, მათ შორის მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან მჭიდრო თანამშრომლობით და კომუნიკაციით. ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც მაქსიმალურადაა

გათვალისწინებული თითოეული მოსწავლის საჭიროება და შესაძლებლობები. სკოლაში ასევე არსებობს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახდენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგს.

სპეციალურ მასწავლებელს შედგენილი აქვთ სამოქმედო გეგმა და ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები. ასევე, შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში. სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას და ჩართულობის დონის ზრდას. სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში გამოყოფილია რესურს ოთახი შესაბამისი აღჭურვილობით.

ინდიკატორი 4.2.3.2. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

- ინდ.გეგმები;
- სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია და წესი;
- ისგ ჯგუფის ოქმები.
- ისგ.ჯგუფის მონიტორინგის დასკვნა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
   სსიპ -გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობებს სხვადასხვა წრეებისა თუ კლუბების სახით. სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს ცეკვის ანსამბლი, STEAM კლუბი .სკოლას იჯარით გაცემული აქვს ფართი, სადაც ფუნქციონირებს კვების ობიექტი. დირექტორის ბრძანებით შექმნილია კვების ობიექტის საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფი(26.02.2016 წელი ბრძანება N 110). სკოლამ წარმოადგინა კვების ობიექტის შემოწმების

აქტები. მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი. ტრანსპორტით მომსახურეობა ხორციელდება მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე.

ინდიკატორი 4.2.4.1. შესაბამისობაშია

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას .

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითი პრინციპით. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კლუბურ მუშაობას სხვადასხვა ასაკის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 4.2.4.2 შესაბამისობაშია

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება მშობელთან და მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომელშიც გაწერილია სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში, ხოლო სკოლა უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს. შრომითი ხელშეკრულებით გაწერილია დასაქმებულის ვალდებულება, დაიცვას უსაფრთხოების წესები. ჰიგიენურ-სანიტარული ნორმების დაცვის მონიტორინგს ახორციელებს სკოლის ექიმი. სკოლამ წარმოადგინა კაფეტერიის მონიტორინგის აქტები. განხორციელებული მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს.

ინდიკატორი 4.2.4.3 შესაბამისობაშია

დასტურდება(მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები

შეფასება: ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

.

სკოლას 29 დეკემბრის 2025 წლის ბრ. N78 დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით დამტკიცებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ფუნქციები, პრიორიტეტები და შეხედულებები. კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლებისა და ადმინისტრაციის ჩართულობით, რაც გაწერილია უშუალოდ დოკუმენტში და ეფუძნება წინა წლის კურიკულუმის ანალიზსა და გამოკვეთილი საჭიროებებს, (მაგ: პედსაბჭოს ოქმი N1) ახალი სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმების შემუშავებას. რის მიხედვით კათედრები განსაზღვარვენ საგნობრივი სტანდარტების გათვალისწინებით სავალდებულო თემების ჩამონათვალს, საკითხებს, შემოქმედებითი დავალებების პირობებს, შესაბამის რესურსებს და აკავშირებენ სტანდარტის მისაღწევ შედეგებთან (გრძელვადიან მიზნებთან). კურიკულმების შემუშავებაში ჩართულია მთლიანი სასკოლო საზოგადოება, მის განვითარებაში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეების საჭიროებები და შესაძლებლოებები, რაც განსაზღვრულია ისგ-ის დოკუმენტით და სპეციალური მასწავლებლის, მშობლისა და საგნის მასწავლებლის ჩართულობით.

ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რის მიხედვით შექმნილია კურიკულუმის კონცეპტუალური დოკუმენტი და საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, რომლის შემუშავებაში ჩართულია მთლიანი სასკოლო საზოგადოება. შინაარსობრივი საკითხები განიხილება კათედრის სხდომებზე სადაც მუშავდება: საგნობრივი თმები, საკითხები, შემოქმედებითი დავალების პირობები, საგანმანათლებლო რესურსები, რაც ხელს უწყობს სრულიად სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას, რაც გულისხმობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და საგნობრივ ცოდნის მიღებასთან ერთად მაღალი საზროვნო უნარების გამომუშავებასა და ცოდნის პრატიკაში გადატანას (ტრანსფერი), რასაც ხელს უწყობს კათედრების მიერ შექმნილი კურიკულუმებში ასახული შემოქმედებითი დავალებები, რის მიხედვით შექმნილია მოსწავლეების ნამუშევრები, რომლის პროცესშიც მშობლის ჩართულობაც ხორციელდება, რაც მათთან ინტერვიუს

პროცესში გამოიკვეთა. საგნობრივი კურიკულუმებში ასახულია თითოეული მოსწავლის ინტერესები. სსსმ მოსწავლეებისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლის შედგენაში მონაწილეობას იღებს სპეციალური და საგნის მასწავლებელი და მშობელი. წარმოდგენილი კათედრის სხდომის ოქმებითა და მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმის შექმნაში მუშაობენ გუნდურად, ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებასა და რეკომენდაციებს.

ინდიკატორი2.1.1.2 შესაბამისობაშია

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე ,სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებულია საგნობრივი კურიკულუმები. სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა, რომ სასწავლო წლის ბოლოს ხორციელდება პროცესის შეჯამება და გამოკვეთილი არსებული საჭიროებების გათვალისწინებით ახალი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით ახალი საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრების ყველა წევრი და თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის დახვეწა. კათედრებზე არის მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, რას საშუალებას იძლევა მასწავლებლებმა ერთმანეთს გაუზიარონ მოსწავლეთა მიღწევები, საჭიროებები, ინტერესები, სურვილები და შესაბამისი შინაარსობრივი ნაწილი ასახონ კურიკულუმებში. ასევე მშობლებთან იგზავნება ელექტრონული კითხვარები, საიდანაც მიღებული მონაცემების გათვალისწინება ხორციელდება, რაც ხელს უწყობს ერთის მხრივ მთლიანი სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და ასევე, მოსწავლეთა ინტერესების მეტად გაცნობას.

ინდიკატორი2.1.1.3. შესაბამისობაშია

3. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო კურიკულუმი გაზიარებული და გათავისებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის ადმინისტრაცია, კათედრის თავმჯდომარეები, მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო კურიკულუმისა შემუშავებისა და დახვეწის პროცესში. კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის და როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი ,მისი შეთანხმება ხდება სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. სასკოლო კურიკულუმი საჯაროა და გაზიარებულია ელექტრონულად.

ინდიკატორი2.1.1.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N 78 სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ
- კათედრის სხდომის ოქმი N1 სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **რჩევა:** დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში მკაფიოდ გამოკვეთეთ შემოქმედებითი დავალების იდეა, თუ რა ცოდნა უნდა წარმადგინოს მოსწავლემ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ანალიზისა და პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ კათედრაზე შექმნილი საგნობრივი კურიკულუმები აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და შეესაბამება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს, კერძოდ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლის საჭიროებების, ინტერესებისა და განვითარების დონის შესაბამის სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვას, რომლის დროსაც სწავლა-სწავლების პროცესი მიმართულია არა მხოლოდ ცოდნის გადაცემაზე, არამედ მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში აქტიურ ჩართულობაზე, დამოუკიდებელი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია რჩევა: სასურველია განხორციელდეს საგნობრივი კურიკულუმების რევიზია, რომელსიც გამოიკვეთება დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიების გაძლიერება. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
უცხოური ენები	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების პრინციპებს. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია

	მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები. სწავლა-სწავლების მიზნები და შედეგები ფორმულირებულია მოსწავლის მიღწევების ხელშეწყობის თვალსაზრისით. კურიკულუმში ინტეგრირებულია სხვადასხვა სწავლების სტრატეგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფუნქციურკომპეტენტური უნარების განვითარებას და მოსწავლეთა შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებას. კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული უნარების ფორმირებაზე და მათი მომავალი წარმატებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარებაზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ესთეტიკური აღზრდა	სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის ესთეტიკის კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები მიზნად ისახავს თითოეული მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ კათედრა ცდილობს შემუშავებული დოკუმენტი გახადოს მეტად მოქნილი და დეტალიზებული. დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმებში დასაზუსტებელია შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა, რადგანაც შესასწავლი თემების ფარგლებში მოცემული აქტივობები და შემაჯამებელი დავალებები, გახდეს მოსწავლეებისთვის დაძლევადი სასწავლო წლის განმავლობაში. კურიკულუმის შინაარსი ეყრდნობა სასწავლო სახელმძღვანელოებს, სამინისტროს კომპლექსური დავალებების ბანკის რესურსებს და აძლევს მოსწავლეებს საშუალებას შეისწავლონ საკითხები მრავალფეროვნად — პროექტებით, შემოქმედებითი ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებებით. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ პედაგოგები ხედავენ სასწავლო რესურსების გამრავალფეროვნების აუცილებლობას და გეგმავენ შესაბამის ღონისძიებებს. ვინაიდან, ინტერვიუს შემდეგ, კურიკულუმებში ჩასწორდა მითითებები, ინდიკატორი ჩაითვალა შესაბამისად. რჩევის სახით ხაზგასასმელია შემდეგი საკითხები: რჩევა: დაწყებით და საბაზო საფეხურზე, კურიკულუმებში დაზუსტდეს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა და შინაარსი. **რჩევა**: დაწყებით და საბაზო საფეხურზე, კურიკულუმებში დაზუსტდეს სასწავლო რესურსების ჩამონათვალი და გამრავალფეროვნდეს უკვე არსებული რესურსები. ინდიკატორი შესაბამისობაშია

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო ენის კურიკულუმები სამივე საფეხურზე წარმოაჩენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების თანმიმდევრულ გზას, რადგან სწავლება ეფუძნება თემატურ ბლოკებს, ასაკობრივ ინტერესებსა და მოსწავლის პირად გამოცდილებას; კომპლექსური და შემოქმედებითი დავალებები (ესე, მემუარი, გამოხმაურება, ზეპირი პრეზენტაცია, წერილი) ხელს უწყობს დამოუკიდებელი აზროვნების, კრიტიკული შეფასებისა და თვითგამოხატვის განვითარებას. ტექსტთან მუშაობს, ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარების გაძლიერებასა და გრამატიკული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენება; თემატური მრავალფეროვნება, ჟანრობრივი სიუხვე და მრავალფეროვანი აქტივობები უზრუნველყოფს სწავლების პროცესის რეალურ ცხოვრებასთან კავშირს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის, როგორც მკითხველისა და მოაზროვნის ჩამოყალიბებას .ინდიკატორი შესაბამისობაშია.
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმები, რომლებიც შემუშავებულია სტანდარტებზე დაყრდნობით, ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს. კერძოდ, რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს და რა უნდა იცოდეს. მასში გაწერილია ის გზები და საშუალებები, რომლის საფუძველზე ხერხდება დასახული მიზნის მიღწევა. კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი თემები, სამიზნე ცნებები, შემოქმედებითი დავალებების იდეები, რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ გრძელვადიანი მიზნების მიღწევის საშუალებებს. დაგეგმილი და შემუშავებული კურიკულუმის განხორციელების ვალდებულება ამტკიცებს მოსაზრებას , რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის წარმართვის და განვითარების გზას, რაც დადასტურდა კიდეც კათედრის წევრებთან გასაუბრებისას. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა**: ინტერვიუს დროს გაჟღერებული დიფერენცირებული სწავლების მიდგომები ჩაიწეროს კურიკულუმში. თემის, საკითხის სვეტი სწორად იყოს შევსებული. მაგალითად, ამოღებულ იქნას სიტყვა ,,გამეორება'' და ჩაისვას ის ,რის გამეორებაც სურთ.

სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დავალებები მოიცავს,ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, შერჩეული თემები ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა დათვითკონტროლის განვითარებაზე. ქვეცნებები და ქვესაკითხები შეესაბამება ერთმანეთს და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე.ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ტექნოლოგიები	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების ეფექტურ გზას. იგი სრულად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნებებზე) ორიენტირებით; სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება კონსტრუქტივისტულ პრინციპებს; კურიკულუმში ინტეგრირებული კომპლექსური დავალებების იდეები ხელს უწყობს მოსწავლის მიერ ფუნქციური პროდუქტის შექმნას და გრძელვადიანი მიზნების - მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებით საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემულ კურიკულუმის ჩარჩოებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაწერილია შესაბამისი საგნის (ბუნებისმეტყველება,ქართული,მათემატიკა,მე და საზოგადოება) სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები,სამიზნე ცნებები და სასწავლო რესურსები.კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები-შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებასა და მოსწავლეთა საჭიროებებს. შესაბამისად კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მიმდინარე კურიკულუმები შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი-კომპლექსური ტიპის შემოქმედებითი დავალებები. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ სამივე საფეხურისათვის წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებული საგნობრივი სამიზნე ცნებები და შედეგების მისაღწევი შუალედური მიზნები. საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებასა და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; თითოეული საგნის შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრულია საფეხურების და არა კონკრეტული წლის ან თემის ფარგლებში. შედეგებზე განგრძობითად, მთელი საფეხურის მანძილზე, მიმდინარეობს მუშაობა; ის არ წარმოადგენს მოკლევადიან ნიშნულს, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა მომდევნო შედეგზე გადასასვლელად. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა**: სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში - თითოეული საკითხი, შემოქმედებითი დავალება - დაგეგმილი იქნას არა ერთობლივად ყველა სამიზნე ცნების გათვალისწინებით, არამედ ღრმად იქნას გააზრებული თითოეულ საკითხში ორი ან სამი სამიზნე ცნება;
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილ უცხო ენების საგნობრივ კურიკულუმებში, ასევე კომპლექსური ტიპის დავალებებში დავალების პირობა იმგვარად არის ფორმულირებული, რომ ის უზრუნველყოფს არა მხოლოდ სავალდებულო თემების შესწავლას, არამედ ფუნქციურ-გლობალური უნარების განვითარებასაც. გასაუბრების ეტაპზე ხაზი გაესვა, რომ

	კომპლექსური დავალების პირობა იმგვარად უნდა იქნეს შემუშავებული, რომ ის უზრუნველყოფდეს ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვითარებას, მოსწავლეთა ჩართულობას და შემოქმედებითობას. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა**: დაწყებით საფეხურზე გამოვლენილია ზოგიერთი ცნების შეუსაბამობა საფეხურთან. რეკომენდებულია ცნებათა რევიზია და ადაპტაცია საფეხურის მოთხოვნებთან შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მოსწავლეთა ეფექტური სწავლა-სწავლების პროცესი.

ესთეტიკური აღზრდა	კათედრაზე კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებსა და მიზნებზე დაყრდნობით. ესთეტიკური კათედრის საგნობრივი გეგმა შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს, თუმცა ნაკლებად ითვალისწინებს ადგილობრივ საჭიროებებსა და კონტექსტებს. მასწავლებლები, საგნობრივი სტანდარტების ფარგლებში, კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ შუალედურ და გრძელვადიან მიზნებს. სასწავლო პროცესს აკლია რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული, პრაქტიკულ-შემოქმედებითი აქტივობებით გამდიდრება. სასურველია, ესთეტიკური განათლების მიმართულებით გაიწეროს აქტივობები, რომელიც ეროვნული მიზნების შესრულების, ასევე, ადგილობრივი კულტურის ინტეგრირების საშუალებას მისცემს მათ. სკოლის შიდა დოკუმენტაცია, თემატური გეგმით დაწყებული, შეფასების სისტემით დამთავრებული, სტრუქტურულად მიესადაგება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობას. ინდიკატორი შესაბამისობაშია **რჩევა:** ესთეტიკური განათლების მიმართულებით გაიწეროს აქტივობები, რომელიც სასწავლო პროცესში, ეროვნული მიზნების შესრულების, ასევე, ადგილობრივი კულტურის ინტეგრირების საშუალებას მისცემს პედაგოგებს.

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმები სრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. სწავლების სტრუქტურა აგებულია სამიზნე ცნებებზე, რაც უზრუნველყოფს ტექსტის გააზრების, ანალიზის, კრიტიკული აზროვნების, ზეპირი და წერითი კომუნიკაციის განვითარებას. მრავალფეროვანი ჟანრების, ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშების, კულტურული კონტექსტების და კომპლექსური დავალებების გამოყენება აყალიბებს მოსწავლის ლიტერატურულ, ენობრივ და ღირებულებით კომპეტენციებს და უზრუნველყოფს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროცესში საკვანძო კომპეტენციების განვითარებას; ანალიზისა და შემოქმედებითი აზროვნების უნარების გაღრმავება, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებასა და სასწავლო შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
მათემატიკა	კურიკულუმში წარმოდგენილი თითოეული კომპონენტები იძლევა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. სწავლა-სწავლების გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირად არის სამიზნე ცნებები და შედეგები, ჩანს ამ ცნებების იერარქიული კავშირში ერთმანთთან. მოცემულია საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც, ამუშავებს სამიზნე ცნებებს და უზრუნველყოფს მათ საფუძვლიანად შესწავლას. ამავე დროს ორიენტირებულია სტანდარტით განსაზღრულ შედეგებზე და ხელს უწყობს ისეთ ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა: კრიტიკული, შემოქმედებიითი, კომუნიკაციის, თანამშრომლობით, მოქალაქეობრივი და ნებელობის უნარების განვითარება. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

სპორტი	წარმოდგენილი კურიკულუმები და მასში მოცემული თემები საშუალებას აძლევს მიაღწიონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. მოცემული თემები, დავალებები, ქვეცნებები და საკითხები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეს დაეხმაროს ფიზიკური თვისებების განვითარებაში, ორგანიზება და თვით კონტროლში, ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმები სრულად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მოთხოვნებს, რადგან სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაზე. დოკუმენტაციაში მკაფიოდ ჩანს საკითხთა თანმიმდევრული განვითარება (მაგალითად, ალგორითმების სწავლება იწყება II კლასში მარტივი ციკლებით და VI კლასში რთულ ოპერატორებსა და ცვლადებზე გადადის). სასწავლო თემები და დავალებების იდეები (მაგ: „შექმენი თამაში Scratch-ში“, „პერსონალური გამოფენა One Drive-ში“) მიმართულია პრიორიტეტული კომპეტენციების ციფრული წიგნიერების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისკენ. თითოეული კლასის კურიკულუმში ინტეგრირებული კომპლექსური დავალებები წარმოადგენს იმ ინსტრუმენტს, რომლითაც მოწმდება საფეხურებრივი შედეგების მიღწევა. წარმოდგენილი „კონტექსტ-მაგალითები“ საშუალებას იძლევა, ახალი ცოდნა დაეფუძნოს მოსწავლის პირად გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის კონსტრუირებას. რჩევა: სკოლას ეძლევა რჩევა, V კლასის კურიკულუმში, სამიზნე ცნების - კომპიუტერის აგებულება' - ფარგლებში მკაფიოდ ასახოს საკითხი: რთული ელექტრონული მოწყობილობის (რობოტის) გამართვა. ვინაიდან სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი რობოტიკის ასოციაციასთან და მოპოვებული აქვს თამაზ ბექაიას ფონდის გრანტი STEAM მიმართულებით, მნიშვნელოვანია, ეს შესაძლებლობები აისახოს სასწავლო თემატიკაში (მაგ. Arduino-ს გამოყენება). ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (თვითშეფასება, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია) და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდარტებში წარმოდგენილი შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები ორიენტირებულია თემის შესაბამის მიზანზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები არის, თუმცა საბუნებისმეტყველო რესურსები არ არის სრულყოფილად, ამიტომ გაკვეთილებს ლაბორატორიებში ვერ ატარებენ. ინდიკატორი შესაბამისობაშია

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრების მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესში სამივე საფეხურისათვის გამოყენებული კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, შეესაბამება საგანმანათლებლო მიზნებს და მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. რესურსები მოიცავს როგორც ტრადიციულ, ასევე თანამედროვე საგანმანათლებლო საშუალებებს, კერძოდ როგორიცაა სახელმძღვანელოები, რუკები, დამატებითი სასწავლო მასალები, ასევე ციფრული პლატფორმები, რაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და ინტერესს. ინდიკატორი შესაბამისობაშია **რჩევა:** სასურველია ,რესურსების შერჩევისას გათვალისწინებული იქნას, რომ რესურსების გამოყენება ზოგ შემთხვევაში საჭიროებს უფრო მიზანმიმართულ დაგეგმვასა და დიფერენცირებულ მიდგომას, რათა სრულად იქნეს გათვალისწინებული მოსწავლეთა ასაკი, ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები.

უცხოური ენები	სკოლაში გამოყენებული კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები (სახელმძღვანელოები, დამხმარე მასალები, ციფრული პლატფორმები და აუდიო-ვიდეო მასალები) სრულად უზრუნველყოფს უცხოური ენის სწავლების მიზნებსა და მოსწავლის მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. კათედრის მიერ წაროდგენილი კურიკულუმების და გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ რესურსები შერჩეულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და ეხმიანება თანამედროვე მიდგომებს, როგორიცაა კომუნიკაციური სწავლება (CLT) და დიფერენცირებული სწავლება. მასწავლებლები იყენებენ როგორც ბეჭდურ, ისე ინტერნეტ რესურსებს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარების განვითარებისთვის (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა), რაც მიზნად ისახავს ენის პრაქტიკულ გამოყენებას. რესურსების გამოყენება თანხვედრაშია შეფასების კრიტერიუმებთან და ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესის რეალურ მონიტორინგს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები – როგორც საგანმანათლებლო, ისე მატერიალურ-ტექნიკური – შეძლებისდაგვარად მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს და სწავლის შედეგების მიღწევას ემსახურება. მასწავლებლები იყენებენ არსებულ რესურსებს შემოქმედებითად: აქტიურად მიმართავენ ადგილობრივ მასალებს, მოსწავლეთა ნამუშევრებსა და სოციუმის შესაძლებლობებს. მაგალითად, ხელოვნების გაკვეთილებზე საგანმანათლებლო რესურსებად გამოიყენება ფოტომასალა, ბუნებრივი მასალები და ინტერნეტრესურსები. მუსიკის მასწავლებელი ხელნაკეთი ინსტრუმენტების, აუდიოჩანაწერებისა და ინტეგრირებული აქტივობების მეშვეობით ცდილობს სწავლის

	მიზნების მიღწევას. ხელოვნების და მუსიკის პედაგოგები შემოქმედებითი პრაქტიკით არიან დაკავებულნი, შესაბამისად, შესაძლებლობა აქვთ პირადი მიღწევებიც გაუზიარონ მოსწავლეებს. რესურსების შერჩევა და გამოყენება მიზანმიმართულია ეროვნული გეგმით განსაზღვრული შედეგების შესრულებაზე, თუმცა მოსწავლის ინტერესებზე მორგებულად. სასწავლო რესურსების ეფექტიან გამოყენებას ხელს უწყობს მასწავლებელთა კოორდინაცია, რესურსების გაზიარება კათედრის ფარგლებში. ინდიკატორი შესაბამისობაშია

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები — სახელმძღვანელოები, მხატვრული და საინფორმაციო ტექსტები, როგორც ძირითადი, ისე დამატებითი საგანმანათლებლო მასალა — მიზანმიმართულად არის შერჩეული და უშუალოდ უკავშირდება სამიზნე ცნებებსა და კომპლექსურ დავალებებს. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვას; გამოყენებული ტექსტები, აუდიო-ვიზუალური რესურსები და აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, ცოდნის გააზრებასა და პრაქტიკულ გამოყენებას, ავითარებს მათ კრიტიკულ, შემოქმედებით და საკომუნიკაციო უნარებს, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმში, შემოქმედებითი პროდუქტების შესაბამისად, მითითებულია რესურსები დავალებაზე მუშაობისათვის. კურიკულუმებში დეტალურადაა წარმოდგენილი რესურსები არა მხოლოდ შემოქმედებით დავალებებზე მუშაობისათვის, არამედ, იმ საკითხების შესაბამისად, რომელსაც ამუშავებენ წლის მანძილზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

სპორტი	სკოლას აქვს და იყენებს სპორტულ ინვენტარს და რესურსებს, რაც კურიკულუმებში მოცემული თემების განხორციელებისთვის აუცლებელია. კერძოდ სხვადასხვა სპორტის სახეობის ბურთები, ბადეები, ჩოგნები და სხვა სპორტული ინვენტარი გამოყენებულია კურიკულიმში გაწერილი თემების შესაბამისად. აითვისონ და გააღრმავონ სხვდადასხვა სპორტის სახეობები, ივარჯიშონ და განავითარონ ფიზიკური თვისებები. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ანალიზით დასტურდება, რომ შერჩეული სასწავლო რესურსები პირდაპირ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმში რესურსები დაჯგუფებულია მიზნობრივად: სწავლის პროცესში გამოყენებულია საერთაშორისო და ლოკალური პლატფორმები (Scratch, Code.org, school.emis.ge, "ვსწავლობთ თამაშით"), რაც ხელს უწყობს ალგორითმული და ლოგიკური აზროვნების განვითარებას პრაქტიკული გზით. Microsoft Office 365-ის (Word, Excel, PowerPoint, OneDrive, Sway) ინტეგრირება საშუალებას აძლევს მოსწავლეს, დაეუფლოს ინფორმაციის დამუშავებას, შენახვასა და გაზიარებას რეალურ ციფრულ გარემოში. პირობითი ნიშნებისა და კომპიუტერის აგებულების სწავლებისას გამოყენებულია თვალსაჩინოებები, მაკეტები და გრაფიკული რედაქტორები (Paint 3D), რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებით საფეხურზე კონსტრუქტივისტული მიდგომის (კეთებით სწავლება) განხორციელებისთვის. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმის რესურსების გრაფაში მოხდეს იმ კონკრეტული ტექნოლოგიური აღჭურვილობის იდენტიფიცირება, რომელიც სკოლა STEAM საგრანტო კონკურსის ფარგლებში ახორციელებს. კერძოდ, V და VI კლასის კომპლექსურ დავალებებში რესურსად მიეთითოს: Arduino-ს ნაკრებები, სენსორული მოდულები და STEAM ლაბორატორიის ინვენტარი. ეს ხაზს გაუსვამს სასწავლო პროცესის მატერიალურ უზრუნველყოფას.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. როგორც გამოიკვეთა დაწყებითი კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნაწილ კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში არ არის ასახული მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსები, რასაც კათედრის მასწავლებლების უმრავლესობა იყენებს სასწავლო პროცესში. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა**: სასურველია ყველა რესურსი,რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები“. სასურველია დამატებითი რესურსების უფრო დეტალური და კონკრეტული ჩამონათვალის შეტანა

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესი განხორციელებისას გამოყენებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები. პედაგოგებთან გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ ისინი ცდილობენ, გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები,

	შესაძლებლობები და სწავლის ტემპი, რაც ხელს უწყობს უფრო თანასწორი და მხარდამჭერი სასწავლო გარემოს შექმნას. დიფერენცირებული სწავლების კუთხით, პედაგოგები იყენებენ დავალებებისა და აქტივობების სხვადასხვა ფორმებს, გეგმავენ მოდიფიცირებულ შემოქმედებით დავალებებს, მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა**: სასურველია საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის დროს მასწავლებელთა მიერ გათვალისწინებული დიფერენცირებული მიდგომები შემოქმედებით პროდუქტში აისახოს.
უცხოური ენები	სასკოლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლების მთავარი პრინციპები, ასევე კათედრის მიერ გადმოგზავნილია სსსმ მოსწავლის ინდ. გეგმა, გასაუბრების ეტაპზეც ხაზი გაესვა, რომ სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს ინკლუზიურ განათლებას, რათა სასკოლო გარემო თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს თითოეული მოსწავლისათვის. კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპზე მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება, თავიანთი შესაძლებლობების და ცოდნის შეფასების მიხედვით. განსხვავებული უნარების მქონე მოსწავლეებისათვის მასალსა შესაძლებელია შეთავაზებული იყო განსხვავებული ფორმატით (ტექსტი, ვიდეო, კომიქსი, და ა.შ). ინდიკატორი შესაბამისობაშია

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე სასწავლო პროცესი დგინდება ინკლუზიურობის და დიფერენცირებული სწავლების პრინციპებით. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ აკადემიურ დონეს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს და ამ მრავალფეროვნებაზე მორგებულად გეგმავენ სწავლებას. ინდივიდუალურად უდგებიან მოსწავლეებს, რომლებსაც სჭირდებათ დამატებითი მხარდაჭერა. ასევე, აღინიშნა, რომ ესთეტიკური კათედრის პედაგოგებს აქვთ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება. მათ იციან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, საჭიროებებზე მორგებული აქტივობების გაწერა და შესაბამისი სასწავლო რესურსის მომზადება. მოსწავლეთა დიფერენციაციისთვის, მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან დავალებებს, მოქნილ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებსა და ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ფორმებს. და მაინც, საჭიროა რჩევის სახით ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე საკითხი: **რჩევა:** • მოქნილი, მოსწავლეზე მეტად მორგებული ისგ-ს შექმნა, სადაც ნათლად გამოჩნდება თემის ფარგლებში დასამუშავებელი აქტივობები. • მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკების შექმნა; შუალედური მიზნების სწორად განსაზღვრა და მუდმივი თანამშრომლობა სხვა საგნების პედაგოგებთან და მშობლებთან. ინდიკატორი შესაბამისობაშია

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებით დაგეგმილი სასწავლო პროცესი ინკლუზიურ ხასიათს ატარებს და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, რადგან სწავლება ეფუძნება მრავალფეროვან ტექსტებს, ჟანრებსა და რესურსებს, განსხვავებული სირთულისა და ფორმატის კომპლექსურ დავალებებს და მოსწავლის პირად გამოცდილებაზე დაფუძნებულ აქტივობებს, სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და აგებულია დიფერენცირებული მიდგომების პრინციპზე, რაც გულისხმობს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებას; კურიკულუმში წარმოდგენილი მრავალფეროვანი აქტივობები, რესურსები და სწავლების სტრატეგიები იძლევა საშუალებას, რომ ყველა მოსწავლე იყოს ჩართული სასწავლო პროცესში საკუთარი უნარების შესაბამისად, მიიღოს მხარდაჭერა და განავითაროს როგორც აკადემიური, ისე სოციალური და კომუნიკაციური უნარები, რაც უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას განათლებაზე და ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის წარმატებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებით, დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების უმთავრესი მიზანია სკოლის თითოეულ მოსწავლეს ხელი მიუწვდებოდეს ხარისხიან განათლებაზე. სკოლაში შეიქმნას მათზე მორგებული სასწავლო გარემო,სადაც მოსწავლე შეძლებს თავისი ინტერესების დაკმაყოფილებას, შესაძლებლობების რეალიზებას . სწორედ ამ მიზანს ემსახურება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლის დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს: სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილები, შესაძლებლობები და უნარები. რის მტკიცებულებას წარმოადგენს ის, რომ მოსწავლეს სთავაზობენ სხვადასხვა შემოქმედებით დავალებებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
სპორტი	მასწავლებლებისათვის ცნობილია სწავლის დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. მასწავლებლებმა წარმოადგინეს სსმ მოსწავლის ინდივიდუალური გეგმა. სწავლა მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, რაც განაპირობებს ბავშვის მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმების ანალიზი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი აგებულია ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული სწავლების პრინციპებზე. დოკუმენტაციაში გამოკვეთილია შემდეგი მიდგომები:კურიკულუმით

	გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები იძლევა მათი მოდიფიცირების შესაძლებლობას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. მაგალითად, ვიზუალური პროგრამირების (Scratch) გამოყენება საშუალებას აძლევს მასწავლებელს, შესთავაზოს მოსწავლეებს სხვადასხვა სირთულის ალგორითმები, მარტივი ანიმაციიდან რთულ, მრავალდონიან თამაშებამდე. სწავლის პროცესში გამოყენებულია როგორც ტექსტური, ისე ვიზუალური და აუდიო რესურსები (მაგ. „ვსწავლობთ თამაშით“, ვიდეო გაკვეთილები, Paint 3D), რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის (ვიზუალური, კინესთეტიკური) მასალის ხელმისაწვდომობას. კურიკულუმი ითვალისწინებს „ხარაჩოს“ პრინციპს, რაც ხელს უწყობს მათ დამოუკიდებელ მუშაობას საკუთარი ტემპით. დავალებების იდეები (მაგ. „შექმენი შენი სამუშაო დღის ციკლი“, „პერსონალური გამოფენა“) მორგებულია მოსწავლეთა პირად კონტექსტსა და ინტერესებზე, რაც ზრდის მათ მოტივაციას და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ყველა მოსწავლის ჩართულობას.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს. შერჩეული მეთოდოლოგია და რესურსები მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, სასწავლო გარემო მოარგოს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და წინარე ცოდნას, რაც უზრუნველყოფს თანაბარ წვდომას ხარისხიან განათლებაზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე, ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს და მოსწავლეებს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს შემოქმედებითი ბუნების დავალების პროდუქტის შესაქმნელად. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის პედაგოგების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში განხორციელებული შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნულ სასაწვლო გეგმას. კერძოდ: მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. არსებული დოკუმენტებისა და პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ შეფასება ფოკუსირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე, რაც გულისხმობს შეფასების ორიენტაციას მოსწავლის შესაძლებლობების, უნარების, პოტენციალის განვითარების დინამიკაზე; შემუშავებულია შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით, რომლებიც სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით პედაგოგები ახორციელებენ მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა**: სასურველია შეფასების რუბრიკების რევიზია და დახვეწა.ასევე სასურველია კათედრის სხდომებზე აქტიურად განიხილონ როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების ეფექტიანობა, წარმოადგინონ პროცესის რეფლექსია, რასაც შედეგად მოჰყვება მათი დახვეწა.
უცხოური ენები	სასკოლო გეგმაში გაწერილია მოსწავლეთა აკადემიური შეფასების გზები, სადაც დეტალურად არის გაწერილი შეფასების მიზნები და ამოცანები. დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი კომენტარი ეხმარება მოსწავლეს საკუთარი პროგრესის დანახვაში, ცოდნის დიაგნოსტირებაში. ირკვევა, რომ სკოლა იყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. ასევე ის მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მეთოდურ

	ორიენტირებს. საბაზო და საშუალო საფეხურებზე კი, სკოლა იყენებს განმსაზღვრელ შეფასებებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური საგნების სწავლებისას, მოსწავლის შეფასების სისტემა ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს — ის ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე, ჩართულობაზე და განვითარების მხარდაჭერაზე. ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლები, იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკებს, რომელიც მეტად დასახვეწია შინაარსობრივი თვალსაზრისით და მოსარგებია კონკრეტულ შესასწავლ თემებსა თუ საკითხებზე. სასურველია, პრაქტიკაში დანერგონ და გამოიყენონ სხვა, ეფექტური შეფასების ფორმებიც: კომენტარები, თვითშეფასება, თანატოლთა ურთიერთშეფასება და დაკვირვება. ეს მეთოდები მასწავლებლებს და მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას, გააცნობიერონ საკუთარი პროგრესი, გაიგონ, რა მიმართულებით სჭირდებათ განვითარება და მიიღონ კონსტრუქციული უკუკავშირი. ინტერვიუს პროცესში დადასტურდა, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეფასების პროცესის გამჭვირვალობას — მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს, აქტიურად მონაწილეობენ მიზნების დასახვასა და შედეგების ანალიზში. ასევე, გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები: შეფასება მორგებულია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებზე და ემსახურება არა შეფასებას "შეფასებისთვის", არამედ განვითარების პროცესის სწორი მიმართულებით წარმართვას. **რჩევა:**

	გამრავალფეროვნდეს არსებული და ყველა თემისა და საკითხის ფარგლებში შეიქმნას შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე, მუსიკისა და ვიზუალური ხელოვნების საგნებში. ინდიკატორი შესაბამისობაშია
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა სამივე საფეხურზე სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, რადგან მოიცავს კომპლექსური დავალებების მოსწავლეთა ნამუშევრების დიაგნოსტირების ანგარიშის ფორმებს, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, ასევე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მკაფიო რუბრიკებს. მოსწავლის შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და ეფუძნება სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის საფუძვლებს; მრავალფეროვანი შეფასების მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენება ხელს უწყობს არა მხოლოდ ცოდნის შემოწმებას, არამედ თვითშეფასებისა და რეფლექსიის კულტურის ჩამოყალიბებას, რაც საბოლოოდ ზრდის მოსწავლის პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლებაზე და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა	დოკუმენტების შესწავლისას გამოვლინდა და პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი იყენებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. წარმოდგენილი რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. მათ წარმოადგინეს რუბრიკები ზოგიერთი თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებების შესაბამისად. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა**:თითოეული დავალების ფარგლებში შექმნან და გამოიყენონ შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით

სპორტი	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. როგორც სიტყვიერად ისე წერილობითი სახით, სადაც კარგად ჩანს ბავშვების განვითარება და პროგრესი. მასწავლებლებმა წარმოადგინეს შეფასების რუბრიკები. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ტექნოლოგიები	წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, არის მრავალმხრივი და განვითარებაზე ორიენტირებული. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ვალიდურად მიემართება სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გათავისების პროცესს. განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები კი მკაფიოდ არის სტრუქტურირებული, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ობიექტურ, გამჭვირვალე და სამართლიან გაზომვას. შეფასების პროცესი ხელს უწყობს ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული) რეალიზებას და სრულ თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა**: ტექნოლოგიების საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია კიდევ უფრო გააქტიურდეს ციფრული პორტფოლიოების წარმოების პრაქტიკა (მაგალითად, OneDrive-ის ან Sway-ს ბაზაზე). ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, თავადვე მოახდინონ საკუთარი პროგრესის ვიზუალიზაცია და დინამიკაში დაინახონ საკუთარი განვითარება, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს განმავითარებელი შეფასების ეფექტურობას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე შემოქმედებითი ბუნების დავალებების მიხედვით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
	რჩევა: სასურველია, ყველა საგანში, შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის.

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- საბუნებისმეტყველო კათედრის ოქმი N1 ,N2
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026
- სამივე საფეხურის კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- ინტეგრირებული გაკვეთილი
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- კურიკულუმის განვითარებს მეთოდოლოგია
- რემედიაციის დოკუმენტი
- დიაგნოსტიკური წერის ანგარისის ნიმუში;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- განხორციელებული შემოქმედებითი დავალებებისა
- სსსმ მოსწავლის შემაჯამებლების ანალიზის ფორმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებს დაგეგმილი აქვთ სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელიც ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და პრინციპებს. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სწავლის სწავლაზე აქცენტის გამახვილებით, პედაგოგები ცდილობენ, გაკვეთილების დაგეგმვისას გაითვალისწინონ საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული სასწავლო თემები, მიზნები და მოსალოდნელი შედეგები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სტრუქტურირებულობას. მოქმედი კურიკულუმით სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, ამ მიზნით მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, ხოლო აფასებენ განმავითარებელი შეფასებით (ვერბალურად). ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა:** სასურველია სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგებმა განახორციელონ საგნობრივი კურიკულუმების დანერგვა-განხორციელების პროცესის რეფლექსია, შედეგები კი გააზიარონ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, რაც მათ დაეხმარება კურიკულუმის რევიზიაში და დოკუმენტირებაში.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად სამივე საფეხურზე, რაც დადასტურდა როგორც კურიკულუმების დოკუმენტური ანალიზით, ისე პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად. მასწავლებლები მიმართავენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და შედეგებს, იყენებენ მრავალფეროვან სტრატეგიებსა და რესურსებს, რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და უნარებზე. დაგეგმვა მოიცავს თემატური ერთეულების ლოგიკურ თანმიმდევრობას და ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ესთეტიკური აღზრდა	სსიპ სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლა წარმოადგენს საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც თემის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სკოლაში, ესთეტიკურ კათედრას ჰყავს მუსიკის და ხელოვნების სერტიფიცირებული, კომპეტენცია დადასტურებული, უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე კადრები. აღინიშნა, რომ არ იკვეთება ადამიანური და მატერიალური რესურსების სიმწირე. სკოლამ შეძლო, შეექმნა ისეთი სასწავლო გარემო, სადაც სასკოლო კურიკულუმი მჭიდროდ უკავშირდება თემის რეალურ საჭიროებებსა და ღირებულებებს. 2025 წელს დაწყებული კურიკულუმის განახლების პროცესში, სკოლის დირექციამ და ესთეტიკის კათედრამ პრიორიტეტად დაისახეს თემის ინტერესების გათვალისწინება. ერთობლივად შემუშავებული მიდგომის შედეგად გამოიკვეთა, რომ სოფლად ძლიერია ადგილობრივი მუსიკალური ტრადიციების სიყვარული — ბევრი ოჯახი ფლობს ხალხურ სიმღერებსა და საკრავებს, ხოლო სასკოლო ღონისძიებები ხშირად აერთიანებს ფოლკლორს, ქორეოგრაფიასა და გამოყენებით ხელოვნებას. მუსიკის მასწავლებელმა გადაწყვიტა, კურიკულუმის ფარგლებში აქცენტი გაეკეთებინა ადგილობრივი ფოლკლორის შესწავლასა და შესრულებაზე. საკლასო პროცესში მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ხალხურ საკრავებს: ფანდური, ჩონგური, დოლი, სალამური და შედეგად შეძლეს შეექმნათ ხალხური საკრავები მეორადი გამოყენების ნივთებით, საღებავებით, ქაღალდებით და ა.შ. შესაბამისად, სწავლება არა მხოლოდ ცოდნის გადაცემის, არამედ კულტურული თვითმყოფადობის გაღრმავების პროცესად იქცა. ხელოვნების მასწავლებელის აქტიურობით ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც მიზნად ისახავს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პოპულარიზაციას სასკოლო საზოგადოებაში. გამოფენები მრავალფეროვანი თემატიკისაა. სასურველია, მოსწავლეებს შევთავაზოთ აქტივობები, სოფლის კულტურული მემკვიდრეობის გაცნობასა და პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. მაგ: ადგილობრივი ტაძრები და ღირსშესანიშნაობები, აღმოჩენილი უძველესი ნივთები და ა.შ. მოსწავლეებს დაევალოთ შექმნან თემატური პოსტერები, დახატონ აკვარელით, მოამზადონ გრაფიკული კომპოზიციები ტრადიციული არქიტექტურის ელემენტებით. ზოგიერთი აქტივობა

	✦ სასურველია, სკოლამ დაგეგმოს საერთო ღონისძიებები, სადაც მოსწავლეები თემის მონაწილეობით წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს — მაგალითად, ფოლკლორული კონცერტები, გამოფენები ან თემატური საღამოები. ეს აძლიერებს სკოლასა და თემს შორის კავშირს. ესთეტიკის კათედრა მუშაობს კურიკულუმის გამრავალფეროვნებაზე. მათ აღწერეს განხორციელებული ღონისძიებები, თუმცა, აღნიშნეს, რომ პირველად შეიმუშავეს კურიკულუმი და შესაბამისად, მომდევნო სასწავლო წლიდან გაითვალისწინებენ რჩევებს.

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილი სახელმწიფო ენის კურიკულუმების მიხედვით, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რადგან სწავლების შინაარსი, თემატური ბლოკები, სამიზნე ცნებები, შედეგები, რესურსები და კომპლექსური დავალებები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული და უზრუნველყოფს სწავლების თანმიმდევრულობასა და მიზნობრიობას; დაგეგმვა ეფუძნება მოსწავლეთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს, მრავალფეროვან რესურსებსა და სწავლების სტრატეგიებს, რაც ხელს უწყობს ეფექტიან სწავლა-სწავლების პროცესს და უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების ეტაპობრივად და შედეგზე ორიენტირებულად მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
მათემატიკა	პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი ხორციელდება დაგეგმილის შესაბამისად. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლებისას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. დავალებებს არჩევენ ისე, რომ მისი შესრულება საინტერესო და ამავდროულად დაძლევადი იყოს მოსწავლეებისათვის. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

სპორტი	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის მიხედვით, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს სხვადასხვა საფეხურის სპორტის გაკვეთილის შესახებ, ისაუბრეს გაკვეთილის სტურქტურაზე და სასწავლო პროცესზე. მოიყვანეს მაგალითებად როგორც შიდა სასკოლო ჩემპიონატების ისე სასკოლო ოლიმპიადებზე მონაწილეობის მაგალითები, სადაც გარკვეული წარმატებაც აქვთ. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ტექნოლოგიები	წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნების დაცვით. ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი თანმიმდევრულად მიჰყვება კურიკულუმით განსაზღვრულ თემატურ გეგმას. თითოეული კლასისთვის შერჩეული საკითხები (მაგ: პირობითი ნიშნები II კლასში, ვიზუალური პროგრამირება III-IV კლასებში და რთული ალგორითმები V-VI კლასებში) ლოგიკურ ჯაჭვს ქმნის სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოსაყალიბებლად. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია კომპლექსურ დავალებებზე (მაგ: „ჩემი პირველი ანიმაცია Scratch-ში“, „საოცნებო უბნის ილუსტრაცია“), რაც უზრუნველყოფს ცოდნის პრაქტიკულ ტრანსფერს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ განხორციელება ეყრდნობა სკოლის მიერ მოპოვებულ მატერიალურ რესურსებს (თამაზ ბექაიას ფონდის STEAM ლაბორატორია) და პარტნიორულ კავშირებს (რობოტიკის ასოციაცია). ეს საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, სტანდარტით გათვალისწინებული საკითხები, როგორიცაა რობოტის გამართვა, შეისწავლონ რეალურ ტექნოლოგიურ გარემოში. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ასევე გამოიკვეთა სკოლის მზაობა ადამიანური რესურსის ცვლილების მართვის კუთხით: კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის წასვლის გამო, საათები ოპერატიულად გადანაწილდა მათემატიკის კათედრის წევრებზე. აღნიშნული უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და კურიკულუმის თემატური გეგმის შეუფერხებელ შესრულებას. სწავლება აგებულია კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე, სადაც აქცენტი კეთდება კეთებით სწავლებაზე და მოსწავლეთა შემოქმედებით პროდუქტებზე.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა:** მიზანშეწონილია, სკოლამ იზრუნოს ტექნოლოგიების მიმართულებით სერტიფიცირებული კადრის მოზიდვაზე ან არსებული კადრების მიზნობრივ გადამზადებაზე. მითუმეტეს, როდესაც სკოლა ახორციელებს ისეთ კომპლექსურ და არაფორმალურ მიმართულებებს, როგორიცაა STEAM განათლება და რობოტიქსი. მიუხედავად იმისა, რომ მათემატიკის კათედრის მიერ საათების შევსება უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე (Arduino, სენსორული სისტემები, ვიზუალური პროგრამირება), კვალიფიციური სპეციალისტის მუდმივი ჩართულობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების მდგრადობისა და მოსწავლეთა ტექნოლოგიური უნარების მაღალ დონეზე განვითარებისთვის.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან დგინდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მიხედვით: საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემატური ერთეულები და საკითხები შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებსა და მისაღწევ შედეგებს; აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად; ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა მოქნილად რეაგირებს სასკოლო საზოგადოების გათვალისწინებით შემხვედრ საჭიროებებზე და ახორციელებს შესაბამის მიდგომებს სასწავლო პროცესში. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეს სკოლა სთავაზობს დამატებით მხარდაჭერას, კონკრეტულად თუ რაიმე სირთულე აქვს რომელიმე საგანში მუშაობს რემედიაციის პროგრამა, დამატებითი მეცადინეობები და ინდივიდულური აქტივობები, რაც ასევე მოსწავლეებთან გასაუბრების პროცესშიც გამოიკვეთა. მოსწავლეთა ფსიქო- სოციალური პრობლემების

გადასაჭრელად სკოლა სთვაზობს ფსიქოლოგის მომსახურებას. ასევე აქტიურად მუშაობენ სპეც. მასწავლებლები, რომელთაც ისგ-ის მიხედვით შემუშავებული აქვთ განსახორციელებელი აქტივოებები. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს რესურსოთახი რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკურ-მატერიალური რესურსით. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალსწინებით ხორციელდება კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა და განხილვა კათედრებზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში ხდება ინდ. გეგმის მოდიფიცირებაც. სკოლა აქტიურად ახორციელებს მშობლებთან ელექტრონული კითხვარის გაგზავნას და მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით მოსწავლეთა საჭიროებების მეტად დადგენას. სწავლა-სწავლების პროცესში მუდმივად ხორციელდება კურიკულუმის დანერგვაზე დაკვირვება და შესაბამისი ინტერვენციების შემუშავება. შესაბამისად, სკოლა რეაგირებს გამოკვეთილ საჭიროებებზე.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი კათედრის ფარგლებში მოქმედი შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების კრიტერიუმები დაკავშირებულია სასწავლო მიზნებთან და ასახავს მოსწავლეთა ცოდნასა და უნარებს, რაც უზრუნველყოფს ვალიდურობას. ასევე, მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან თუ რა კრიტერიუმებით შეფასდებიან, რაც ზრდის პროცესის გამჭვირვალობას და სამართლიანობას. დავალებები ფორმულირებულია მოსწავლეებისათვის გასაგებად, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სწავლა-სწავლების პროცესისადმი ასეთი მიდგომა ხელს უწყობს შეფასების სისტემის სანდოობას და ობიექტურობას. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა**: სასურველია ,საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე ხშირად განხორციელდეს მონიტორინგისა და თვითშეფასების მექანიზმები, რათა კათედრამ რეგულარულად გააანალიზოს საკუთარი შეფასების პრაქტიკა და შეიმუშაოს გაუმჯობესების გზები. ასევე

	სასურველია,პედაგოგებმა დანერგონ მოსწავლეთა ნამუშევრებით შექმნილი პორტფოლიოებით შეფასების პრაქტიკა, რაც მათ დაეხმარება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზის განხორციელებაში;

უცხოური ენები	სკოლის დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლაში სამივე საფეხურზე ჩამოყალიბებულია სამართლიანი და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ორიენტირებულია ყოველი მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებაზე.განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს სწავლის პროცესში აძლევს ინფორმაციას მოსწავლის წინსვლის შესახებ, ხოლო მოსწავლეს -საკუთარი სწავლის შესახებ ფიქრის და მიღწევების გაუმჯობესების საშუალებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და ხელოვნების საგნების მიმართულებით შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ძირითად პრინციპებს და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. შეფასება მჭიდროდ უკავშირდება სასწავლო პროცესის შინაარსს. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლები იყენებენ იმ დავალებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს გამოხატოს საკუთარი შემოქმედებითი იდეა და რეალურად წარმოაჩინოს კომპეტენცია, თუმცა, დავალებების მრავალფეროვნება ნაკლებად იკვეთება ნამუშევრების თვალიერებისას. ძირითადად, შეფასების საგანს წარმოადგენს მოსწავლეთა პრეზენტაციები, ნახატების გამოფენა, საზეიმო ღონისძიებები. სასურველია, გამრავალფეროვნდეს დავალებათა ნუსხა: მუსიკალური კომპოზიციის შესრულება, ინსცენირება, მხატვრული ჩანახატის შექმნა თუ პრეზენტაცია ხელოვნების საკითხების შესახებ. თითოეული დავალება უნდა შეფასდეს წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებით , რაც უზრუნველყოფს შედეგების ობიექტურობასა და სტაბილურობას. მოსწავლეებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია, როგორ და რა საკითხსა თუ თემაზე აფასებენ მათ. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ხშირად

	გამოყენებულია სიტყვიერი, განმავითარებელი უკუკავშირი, რაც ეხმარება მათ პროგრესის გაგებაში. მასწავლებლები უთითებენ როგორც ძლიერ მხარეებს, ისე იმ ასპექტებს, რომლებზეც მუშაობაა საჭირო. . სასურველია, შეფასების პროცესში უფრო აქტიურად ინტეგრირდეს ციფრული ინსტრუმენტები – მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრების ვიდეოფიქსაცია, ციფრული პორტფოლიოები, ონლაინ პლატფორმებით შეფასება. ეს გაზრდის პროცესის დოკუმენტურ გამჭვირვალობას და გააუმჯობესებს უკუკავშირის ხარისხს. სასურველია, შეფასების პროცესში მოსწავლეთა როლი გაფართოვდეს არა მხოლოდ თვითშეფასებით, არამედ შეფასების კრიტერიუმების ერთობლივი შედგენით, რაც მათ ჩართულობას და პასუხისმგებლობას გაზრდის. სასურველია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა შეფასების ინოვაციური მეთოდების შესახებ პროფესიული ტრენინგების გზით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პრაქტიკის გაღრმავებას და გააუმჯობესებს არსებული ინსტრუმენტების გამოყენების უნარებს. შეფასების სისტემამ უკვე აჩვენა პოზიტიური შედეგები, თუმცა მისი განვითარების საჭიროება კვლავ არსებობს – განსაკუთრებით ტექნოლოგიების, მოსწავლეთა ჩართულობისა და მეთოდოლოგიური გამრავალფეროვნების მიმართულებით. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევები:** ✦ სასურველია, შეფასების პროცესში უფრო აქტიურად ინტეგრირდეს ციფრული ინსტრუმენტები – მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრების ვიდეოფიქსაცია, ციფრული პორტფოლიოები, ონლაინ პლატფორმებით შეფასება. ✦ სასურველია, შეფასების პროცესში მოსწავლეთა როლი გაფართოვდეს არა მხოლოდ თვითშეფასებით, არამედ შეფასების კრიტერიუმების ერთობლივი შედგენით, რაც მათ ჩართულობას და პასუხისმგებლობას გაზრდის. სასურველია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა შეფასების ინოვაციური მეთოდების შესახებ პროფესიული ტრენინგების გზით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პრაქტიკის გაღრმავებას და გააუმჯობესებს არსებული ინსტრუმენტების გამოყენების უნარებს.

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა სამივე საფეხურზე გამართული და მრავალკომპონენტიანია. წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სქემები ცნებებისა და თემების მიხედვით, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, ასევე, ანალიტიკური და ჰოლისტურ შეფასების რუბრიკები, უზრუნველყოფს შეფასების მიზნობრიობას, თანმიმდევრულობასა და გამჭვირვალობას; შეფასება მიმართულია არა მხოლოდ საბოლოო შედეგის დაფიქსირებაზე, არამედ მოსწავლის სწავლის პროცესის, პროგრესისა და უნარების განვითარების გამოვლენაზე, რაც სრულ შესაბამისობაშია თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებსა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
მათემატიკა	მათემატიკის კათედრაზე იქმნება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა საგნობრივ სტადარტების ინდიკატორებსა და შედეგებს. შეფასება ხორციელდება გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაყრდნობით. შეფასების რუბრიკები შესაბამისია ასაკის. მოსწავლეები ეცნობიან შეფასების რუბრიკებს, რომლებიც შედგენილია ობიექტურად სამართლიანობის პრინციპის დაცვით. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
სპორტი	შეფასების სისტემა ძალიან მნიშვნელოვანია იყოს ობიექტური და სამართლიანი. მასწავლებლები წინასწარ აცნობენ შემაჯამებელი დავალების შეფასების სისტემას, რაც ყველასთვის წინასწარ ცნობილია და ხელმისაწვდომი. მასწავლებლები ახორციელებენ გამჭირვალედ და სამართლიანად მოსწავლეების შეფასებას, რათა მივიღოთ ის რეალური სურათი და მდგომარეობა, გამოვიყენოთ სამომავლოდ როგორც წინარე ცოდნა. მსგავსი ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასება არის

	მნიშვნელოვანი ფაქტორი, ეს ყველაფერი ინტერვიუში აღნიშნა მასწავლებელმა და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას ბავშვის განვითარებისთვის. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის მაგალითზე დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობისა და ობიექტურობის პრინციპებს. აღნიშნული დასტურდება შემდეგი გარემოებებით: შეფასების სისტემა პირდაპირ ზომავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს. წარმოდგენილი რუბრიკები მკაფიოდ მიემართება კონკრეტულ სამიზნე ცნებებს - „ინფორმაცია“ და „ალგორითმი“. შეფასების კრიტერიუმები ვალიდურია, რადგან ისინი აფასებენ ზუსტად იმ უნარ-ჩვევებს, რაც კომპლექსური დავალების მიზნით იყო განსაზღვრული. შეფასების რუბრიკები აჩვენებს რომ მასწავლებელი იყენებს კონსტრუქტივისტულ უკუკავშირს. კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში ჩამოყალიბებული შეფასების პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებთან. სისტემა არის გამჭვირვალე და ობიექტური, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. აქედან გამომდინარე დგინდება ,რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე ,სანდო და ობიექტური. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სადაც დამტკიცებულია მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, წესი და მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის პროცედურების განხორციელების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც აქტიურად ახორციელებს მუშაობას სამივე საფეხურზე, რაც დასტურდება აღნიშნული სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სემესტრული ანგარიშით. ამრიგად, ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა სათანადო შეფასებასა და აღრიცხვას ელექტრონულ ჟურნალში, რომლის მონიტორინგი პერიოდულად ხორციელდება. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. წინა წლების დოკუმენტაცია, კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები, კლასების და საგნების მიხედვით ფორმები შენახული და დაცულია სკოლის არქივში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამივე საფეხურის კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

- თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტები
- შემაჯამებელი დავალების რუბრიკები
- დიაგნოსტიკური წერების ანგარიში
- ვერიფიკაციის მექანიზმის დამადასტურებელი დოკუმენტები;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელიც მითითებული სასკოლო სასწავლო გეგმაში. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გამოყენებულია სამივე საფეხურის შესაბამისი საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული რესურსები, რაც ხელს უწყობს სასწავლო მიზნების მიღწევას და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდას. სწავლა-სწავლების პროცესის დროს პედაგოგები იყენებენ როგორც ტრადიციულ (სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები), ასევე დამატებით რესურსებს (ვიზუალური მასალა, პრეზენტაციები, ციფრული პლატფორმები), რაც ქმნის მრავალფეროვან სასწავლო გარემოს. კათედრის წევრები უზრუნველყოფენ ყველა მოსწავლის წვდომას სასწავლო რესურსებზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა**: სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ მოქმედი ელექტრონული რესურსების, ასევე აღნიშნული ელ. რესურსების შერჩევის დროს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ასაკი, ასევე ის, რომ ინფორმაცია გადმოცემული იქნას ქართულ ენზე;

უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები. რესურსები შერჩეულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და საგნობრივი სტანდარტების გათვალისწინებით. პედაგოგები აქტიურად იყენებენ სახელმძღვანელოებს, სამუშაო რვეულებს, ვიზუალურ, აუდიო და ელექტრონულ მასალებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლის შედეგების მიღწევას. რესურსების გამოყენება შეესაბამება თემატური გეგმების მიზნებს და დადასტურდა როგორც დოკუმენტაციის გადახედვის, ისე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მათი სასწავლო რესურსი სასკოლო სახელმძღვანელოა. მხოლოდ სახელმძღვანელოს გამოყენებით ვერ მოხდება საჭირო სასწავლო თემატიკის შემუშავება. მასწავლებლები საკუთარ გამოცდილებას უშურველად უზიარებენ მოსწავლეებს და გეგმავენ მრავალფეროვან აქტივობებს კურიკულუმის განვითარებისთვის, რომელშიც მეტად გაითვალისწინებენ საზოგადოების ინტერესებს. სასკოლო საზოგადოების ინტერესების იდენტიფიცირება უნდა მოხდეს კურიკულუმის დაგეგმვამდე. სასურველია, ესთეტიკურმა კათედრამ გაიაროს კონსულტაციები, მოახდინოს გამოკითხვა სკოლის დირექტორთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან, რათა გამოავლინოს, რას მიიჩნევს სკოლა და საზოგადოება პრიორიტეტულად. სასურველია, ინტეგრირებული თემატიკის არჩევა სკოლის სპეციფიკის მიხედვით. სასურველია, კურიკულუმში აისახოს სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თემის პროფილის (მაგ., სოფლის მეურნეობა, ხელოვნება, მეღვინეობა) შესაბამისი თემები. სასურველია, დირექციამ მისცეს პედაგოგებს თავისუფლება და მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ თემისთვის რელევანტური აქტივობების შემუშავება საგნობრივი სტანდარტების ფარგლებში. ადგილობრივი ინტერესების ასახვის ერთ-ერთი პრაქტიკული გზა თემთან თანამშრომლობითი პროექტებია: ერთობლივი გამოფენები, ხალხური სიმღერის კონცერტები, თემატური დღეები, ექსპედიციები და ა.შ.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევები:** ✦ სასურველია, ესთეტიკურმა კათედრამ გაიაროს კონსულტაციები, მოახდინოს გამოკითხვა სკოლის დირექტორთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან, რათა გამოავლინოს, რას მიიჩნევს სკოლა და საზოგადოება პრიორიტეტულად. ✦ სასურველია, ინტეგრირებული თემატიკის არჩევა სკოლის სპეციფიკის მიხედვით. ✦ სასურველია, კურიკულუმში აისახოს სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თემის პროფილის (მაგ: ადგილობრივი ფოლკლორი, სოფლის მეურნეობა, ღირსშესანიშნაობები, რიტუალები) შესაბამისი თემები.
სახელმწიფო ენა	სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები აქტიურად და მიზნობრივად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც უზრუნველყოფს სწავლების მრავალფეროვნებასა და ეფექტიანობას; სახელმძღვანელოსთან ერთად ინტეგრირებულია დამატებითი ლიტერატურა, აუდიო-ვიზუალური მასალა, ციფრული რესურსები და სხვადასხვა ტიპის აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას, ტექსტის სიღრმისეულ გააზრებასა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას; რესურსების ასეთი მრავალმხრივი გამოყენება ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, სწავლების განსხვავებულ სტილს და ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულფასოვან მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა	შესწავლილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა ტიპის რესურსებს მათემატიკაში, მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო და ზოგიერთ თემაში - დამხმარე რესურსი. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
სპორტი	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სპორტულ ინვენტარს და დამხმარე რესურს კურიკულუმში გაწერილი თემების და დავალებების შესასრულებლად. კერძოდ სხვადსხვა სპორტს თავისი სპეციფიკური რესურსი ჭირდება, სკოლა კი ამ ყველაფერს უზრუნველყოფს და იყენებს სასწავლო პროცესში. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი სრულად არის უზრუნველყოფილი კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსებით. სწავლება ეფუძნება რესურსებზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც დასტურდება შემდეგით: აქტიურად გამოიყენება school.emis.ge და Scratch .ინტეგრირებულია მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული რესურსები: Paint 3D, „ვსწავლობთ თამაშით“, Code.org და Microsoft Office 365 .მასწავლებელი იყენებს საკუთარ ციფრულ ნიმუშებსა და მულტიმედიურ რესურსებს კომპლექსური დავალებების მხარდასაჭერად.გამოყენებული რესურსები ვალიდურია, შეესაბამება სასწავლო მიზნებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა**: სასურველია, კურიკულუმის „რესურსების“ გრაფაში მოხდეს იმ კონკრეტული ტექნოლოგიური აღჭურვილობის იდენტიფიცირება (Arduino-ს ნაკრებები, სენსორული მოდულები, STEAM ლაბორატორიის ინვენტარი), რომელსაც სკოლა საგრანტო კონკურსის ფარგლებში იყენებს. ეს ხაზს გაუსვამს სასწავლო პროცესის მატერიალურ უზრუნველყოფას და დაადასტურებს მჭიდრო კავშირს მატერიალურ რესურსსა და სწავლის შედეგებს შორის.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას ძირითად სასწავლო რესურსად განსაზღვრული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები. ინტერვიუსას გამოიკვეთა რომ იყენებენ სხვადასხვა რესურსებს. **რჩევა:**სასურველია ,დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად საჭირო მატერიალური რესურსები; ელ.ბმულები. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსი (არსებობის შემთხვევაში) არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში დანერგილია დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესი, კათედრის ფარგლებში პედაგოგები ცდილობენ გამოიყენონ ისეთი რესურსები, რომლებიც შეესაბამება სასწავლო მიზნებსა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მათი შინაარსობრივი სისწორე და სასწავლო მიზნებთან შესაბამისობა, რაც დადებითად აისახება სწავლების ხარისხზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია **რჩევა**: სასურველია ,საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე დაინერგოს გამოყენებული დამხმარე ელექტრონული რესურსების ეფექტიანობის შემდგომი ანალიზის პრაქტიკა.
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათი შერჩევისა და გამოყენების წინ საგნობრივი შესაბამისობის, ასაკის შესაბამისობისა დაეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან თანხვედრის გადამოწმებას. რესურსების გამოყენებამდე განხილვა ხდება საგნობრივ ჯგუფებში და საჭიროების შემთხვევაში – სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. ვალიდაციის პროცესი უზრუნველყოფს, რომ დამხმარე რესურსი არის მიზნობრივი, სანდო და განვითარებაზე ორიენტირებული. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და ხელოვნების (ესთეტიკის) კათედრა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო რესურსების შერჩევისა და გამოყენების პროცესის მიზნობრიობასა და სანდოობას. სასწავლო რესურსის ვალიდაცია განიხილება, როგორც სწავლის ხარისხის ერთ-ერთი განმსაზღვრელი კომპონენტი. დამხმარე რესურსების გამოყენება ხდება წინასწარ დაგეგმილი თემატიკისა და სასწავლო მიზნების მიხედვით. რესურსის შერჩევისას პედაგოგები ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებსა და უნარებს. გამოყენებული მასალები თანხვედრაშია ასაკობრივ მოთხოვნებთან და თემის შინაარსთან. სკოლაში აქტიურად გამოიყენება როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული და ვიზუალური მასალები: მუსიკალური ჩანაწერები და ვიდეოფრაგმენტები; ხელოვნების ნიმუშების ფოტოარქივები; სამუშაო ფურცლები და პრეზენტაციები; დარგობრივი სხვადასხვა ელექტრონული რესურსები. . მასწავლებლები ხშირად ახდენენ მასალების ადაპტაციას მოსწავლეთა დონესა და საჭიროებებზე მორგებულად, რაც დადებითად აისახება მათ ჩართულობასა და აქტივობაზე. რესურსების შერჩევისას კათედრის წევრებს შორის მიმდინარეობს კონსულტაციები, რაც ხელს უწყობს მასალების შინაარსობრივ შესაბამისობას და რესურსების სანდოობის გაზრდას. ასევე ხდება რესურსების გაზიარება ერთმანეთში – რაც ერთგვარად ქმნის შიდა კოლექტიურ ბიბლიოთეკას. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევები:**

	✦ მიუხედავად იმისა, რომ რესურსების შერჩევა ხორციელდება გააზრებულად, სასურველია მისი ფორმალიზება: მაგალითად, რესურსების გამოყენების წინასწარი დამტკიცება კათედრის სხდომაზე, ან შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება თემატურსაათობრივ გეგმაში. ეს ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. ✦ სასურველია, სკოლაში გამოიყენებოდეს მხოლოდ სანდო, ავტორიტეტული წყაროებიდან მოწოდებული ელექტრონული მასალა. აუცილებელია რესურსების შინაარსობრივი გადამოწმება, რათა არ მოხდეს არასანდო მასალის გამოყენება. ✦ სასურველია, შეიქმნას მუსიკისა და ხელოვნების რესურსების ელექტრონული ბაზა, რომელსაც გამოიყენებენ კათედრის მასწავლებლები. რესურსბანკში შესაძლებელია შეინახოს: სასწავლო ვიდეოები, ნოტები, ნახატების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები და პრეზენტაციები. ✦ დამხმარე რესურსად შესაძლოა გამოყენებულ იქნას მოსწავლეთა ნამუშევრები, წინა წლების პროექტები და პრეზენტაციები. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციას და ასახავს შემოქმედებითი პროცესის უწყვეტობას. კათედრაზე, დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაცია პრაქტიკაში ხორციელდება გააზრებულად და მიზანმიმართულად. ის უზრუნველყოფს სწავლების ხარისხს, მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და საგნობრივი მიზნების მიღწევას. მიუხედავად დადებითი პრაქტიკისა, მნიშვნელოვანია პროცესი გახდეს უფრო ფორმალიზებული და დოკუმენტურად მოწესრიგებული, რაც კიდევ უფრო გაამყარებს რესურსის სანდოობასა და ეფექტურობას.

სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც გულისხმობს მათი შინაარსობრივი სიზუსტის, საგნობრივ სტანდარტებთან შესაბამისობისა და პედაგოგიური მიზნობრიობის სისტემურ გადამოწმებას, რათა გამოყენებული მასალები სრულად პასუხობდეს სასწავლო პროცესის მოთხოვნებს; ამასთან, სკოლას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც არეგულირებს რესურსების ხელმისაწვდომობას, უსაფრთხო და ეფექტიან გამოყენებას, შენახვასა და განახლებას, რაც ხელს უწყობს ორგანიზებულ გარემოს, რესურსების მიზნობრივ გამოყენებას და სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. კათედრებზე განიხილება ეს საკითხი და მიიღება შეთანხმებული გადაწყვეტილება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებელთან ინტერვიუს საფუძველზე, ჩანს რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწვალო რესურსის ვალიდაციას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში დამხმარე რესურსების შერჩევა და ვალიდაცია ხორციელდება შინაარსობრივი და ტექნიკური გამართულობის პრინციპით. პროცესის ანალიზი აჩვენებს შემდეგს: კურიკულუმში ინტეგრირებული დამხმარე პლატფორმები (მაგ: Code.org, Paint 3D) ვალიდირებულია მასწავლებლის მიერ მათი ფუნქციური დატვირთვის მიხედვით. რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. მასწავლებელი თავად ქმნის და იყენებს დამხმარე ვიზუალურ მასალებს. ეს რესურსები მორგებულია მოსწავლეთა ტექნოლოგიურ მზაობასა და სკოლის კომპიუტერულ ინფრასტრუქტურას. საგნობრივ კათედრაზე ხდება ციფრული რესურსების (ბმულები, საგანმანათლებლო პროგრამები) გაზიარება და მათი ეფექტურობის ანალიზი. აღნიშნული დასტურდება კურიკულუმებში მითითებული რესურსების მრავალფეროვნებითა და
	მასწავლებელთან ინტერვიუს დროს, რაც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია. **რჩევა**: სასურველია, კომპიუტერული ტექნოლოგიების ფარგლებში, სკოლამ/კათედრამ შექმნას „ციფრული რესურსების ვალიდაციის ელექტრონული ჟურნალი/ბაზა“. მასში მასწავლებლები ასახავენ გამოყენებულ ონლაინ პლატფორმების, პროგრამებისა თუ ბმულების მოკლე ტექნიკურ და შინაარსობრივ შეფასებას (მაგ: ინტერნეტის საჭიროება, რეგისტრაციის მოთხოვნა, სირთულის დონე). ეს დაეხმარება სკოლას, დროულად მოახდინოს მოძველებული ან ტექნიკურად შეუსაბამო ციფრული რესურსების იდენტიფიცირება და ჩანაცვლება ახალი, უფრო ეფექტური ინსტრუმენტებით.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევის საკითხის განხილვა ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე. გამოიყენება ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა მეტწილად უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგებს არასაკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურის გამო, კაბინეტები მოწყობილია, თუმცა, სწავლა-სწავლისთვის შესაბამისი რესურსები მწირია, მოსწავლეთა ადგილების ზღული რაოდენობის გათვალისწინებით. **სკოლამ მიიღო რეკომენდაცია:** შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში(2026 წლის აპრილი-2027 წლის აპრილი) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორიის მოწყობა. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესის მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა, ძირითადად, შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. საკლასო ოთახები, სასწავლო ინვენტარი უზრუნველყოფს სწავლებისთვის აუცილებელ პირობებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
უცხოური ენები	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რომლებიც შეესაბამება კურიკულუმში განსაზღვრულ მოთხოვნებს და მოსწავლეთა რაოდენობას. სკოლაში ხელმისაწვდომია შესაბამისი სასწავლო და ტექნიკური საშუალებები (დაფები, აუდიო-ვიდეო მოწყობილობები, კომპიუტერები და სხვა), რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტიან წარმართვას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგები აქტიურად იყენებენ მათ ხელთ არსებულ მატერიალურ რესურსებს და საჭიროების შემთხვევაში თავად უზრუნველყოფენ დამატებით მასალებზე წვდომას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ესთეტიკური აღზრდა	სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლაში, ხელოვნებისა და მუსიკის სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ გარემო პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. სწავლების ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა შესაბამისი მატერიალურტექნიკური რესურსების და მოსწავლეთა რაოდენობრივი დატვირთვის დაბალანსებული თანხვედრა. მუსიკისა და ხელოვნების საგნებისთვის სკოლაში არ არის გამოყოფილი სპეციალური საკლასო სივრცეები (მაგ: მუსიკის საკლასო ოთახი რომ იყოს აღჭურვილი ინსტრუმენტებით: ფორტეპიანო; რიტმული აქტივობისთვის საჭირო - მარაკასები, შეიკერები, დოლი და ა.შ., ხოლო ხელოვნების საკლასო სივრცე უზრუნველყოფილი იყოს მოლბერტებით, სახატავი მასალებით და აუცილებელი ინვენტარით.). თუმცა, შესაძლებელია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სამუშაოების განხორციელება. მასწავლებლები იყენებენ ისეთ რესურსებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება კურიკულუმში განსაზღვრულ უნარებსა და მიზნებს. მაგალითად, მხატვრულ საქმიანობაში მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გამოიყენონ სხვადასხვა ტექნიკა და მასალა – რაც აძლიერებს მათ შემოქმედებით შესაძლებლობებს. მუსიკის გაკვეთილზე მოსწავლეები მუშაობენ როგორც სმენით, ისე საშემსრულებლო, თეორიულ, შინაარსზე ორიენტირებულ აქტივობებზე, რაც ეხმიანება კურიკულუმში ჩამოყალიბებულ შედეგებს (მუსიკალური ნიმუშების აღქმა, გააზრება და ა.შ. შინაარსთან შესაბამისობაში; მუსიკალური მახასიათებლების გამოყენებით მოსმენილი ფრაგმენტების აღწერა, ასოციაციური კავშირების გაბმა და სხვ.). მასწავლებლის მიერ დაგეგმილი აქტივობები ადაპტირებულია მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, აქტიური შემოქმედებითი აქტივობები წარიმართება მცირე ჯგუფებად, რაც ზრდის ჩართულობასა და ხარისხიან უკუკავშირს თითოეული მოსწავლისთვის. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია კლასი/კაბინეტის დატვირთვის ზღვრული რაოდენობა, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო და ეფექტურ სამუშაო გარემოს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

	რჩევები: ✦ სასურველია, ესთეტიკის კათედრისთვის საჭირო ინვენტარის განახლება. მიუხედავად არსებული საბაზისო რესურსისა, მიზანშეწონილია რეგულარული შევსება და განახლება სახარჯი მასალებისა (საღებავები, ფუნჯები, ქაღალდი, მუსიკალური ინსტრუმენტები), რაც მნიშვნელოვნად იმოქმედებს პრაქტიკული საქმიანობის ხარისხზე. ✦ სასურველია, გაძლიერებული ყურადღება დიფერენცირებულ მიდგომებზე. მოსწავლეთა რაოდენობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ სხვადასხვა სირთულის დავალებების შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას და ინდივიდუალურ პროგრესს. ✦ სასურველია, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება – იქნება ეს მხატვრული ნამუშევრების ციფრული არქივის შექმნა, მუსიკის ციფრული პროგრამების გამოყენება თუ დისტანციური რესურსების გამოყენება მრავალფეროვანი დავალებებისთვის. სკოლაში ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივი სწავლებისას, კურიკულუმში გათვალისწინებული შედეგების მიღწევა, მთლიანობაში უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსითა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. არსებული პრაქტიკა ქმნის პირობებს მიზნობრივი, პრაქტიკული და მოტივირებულ სწავლისთვის, თუმცა განვითარებისთვის კვლავ მნიშვნელოვანია რესურსების რეგულარული განახლება და ტექნოლოგიების ინტეგრაცია.

სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებულ აქტივობებში თითქმის ყველა თემაში გვხვდება ვიდეორგოლის, ანიმაციის ან მოკლემეტრაჟიანი ფილმის ნახვა განსახილველად. შესაბამისად, სკოლა კომპიუტერითა და პროექტორით უზრუნველყოფს კურიკულუმით მისაღწევი შედეგების მატერიალურ უზრუნველყოფას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მათემატიკა	სკოლას აქვს ყველა საჭირო მატერიალური რესურსი სასწავლო პროცესის გამართული ფუნქციონირებისათვის. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
სპორტი	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ზღვრულ რაოდენობას გაკვეთილის პროცესის დროს დარბაზში თუ გარე მოედანზე, რათა ეფექტური იყოს გაკვეთილი. გამოყენებული მატერიალური რესურსი სრულად შეესაბამება იმ მოთხოვნებს რაც მოცემულია კურიკულიმში. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ტექნოლოგიები	სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლისა და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა გარანტირებულია ადეკვატური მატერიალური და ციფრული რესურსებით. ინტერვიუების დროს ხაზი გაესვა ვირტუალური ლაბორატორიებისა და სიმულაციების (მაგ: Code.org) აქტიურ გამოყენებას. მასწავლებლები ეფექტურად იყენებენ ვიდეო ექსპერიმენტებსა და ციფრულ სადემონსტრაციო მასალებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალგორითმული აზროვნებისა და კომპიუტერის აგებულების სწავლებისას.მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, გამოიყენონ სკოლის ტექნიკური ბაზა არა მხოლოდ საგაკვეთილო, არამედ შემოქმედებითი პროექტების (მაგ: ანიმაციების შექმნა, პრეზენტაციების მომზადება) განსახორციელებლად. ეს უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას „კეთებით სწავლების“ პრინციპით. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსები, კურიკულუმებში ჩანს, რომ აქტიურად იყენებენ ელ.რესურსებს, პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. რჩევა: სასურველია სკოლამ კიდევ უფრო მეტად ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში (რაც დაადასტურეს ინტერვიუს დროს). ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს საკმარისი რაოდენობის და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შესაბამისი მასწავლებლები, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და შეუძლიათ ეროვნული სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) სრულფასოვანი და ეფექტიანი განხორციელება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის სხდომის ოქმი
- კურიკულუმის ჩარჩიები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- შემოქმედებითი ტიპის დავალებები
- სამივე საფეხურის სასკოლო კურიკულუმი
- მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების ამსახველი მასალა განათლების სამინისტროს მიერ შექმნილი დამატებითი აქტივობები და შემოქმდებითი დავალებები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინდივიდუალური მიღწევებისა და განვითარების გამოკვეთას, პრობლემების გადაჭრასა და აღმოფხვრას, რაც ხორციელდება კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრებით, უკუკავშირისა და რეკომენდაციების გაცემით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

1. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას სკოლის მიერ კურიკულუმის მინიტორინგი და შეფასება ხორციელდება სხვადასხვა მეთოდებით. კერძოდ, კათედრის მიერ ხორციელდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებებით, მოსწავლეთა მიღწევების ანალიზით, შეფასების რუბრიკების გამოყენებით. შესაბამისად, მონიტორინგი და შეფასება იძლევა კურიკულუმის ეფექტურ განხორციელებასა და პრობლემის გადაჭრის საშუალებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას სკოლას აქვს გამოცდილება, რომ მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებით გამოკვეთოს პრობლემი, დაადგინოს საჭიროება და მოახდინოს ეფექტური უკუკავშირი. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით განსაზღვროს პრობლემის მოგვარების გზები და საშუალებები ურთიერთდასწრებებით, გამოცდილების გაზიარებით. სკოლას განსაზღვრული აქვს, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესში აქტიურად ჩაერთოს მშობლები, რაც მათთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა. ასევე ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და წახალისებას, რაც ასევე მასწავლებელებმა აღნიშნეს. შესაბამისად, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების მასალები;
- კათედრის სხდომის ოქმები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ინტეგრირებულად, ერთიანი, სისტემური მიდგომით და ატარებს ჰოლისტურ ხასიათს. კერძოდ, მოსწავლის აკადემიური, პიროვნული, ფსიქო-ემოციური, ძლიერი და სუსტი მხარეების, ინტერესების, კრიტიკული აზროვნების, კრეატიულობის, შემოქმედებითობის განსასაზღვრად თითოეული კათედრა იყენებს შეფასების რუბრიკებს, შემოქმედებით დავალებებს, მოსწავლეების მიერ შექმნილ სასწავლო პროდუქტებს (ალბომები, დღიურები, ბუკლეტები, პოსტერები, კომიქსები, მაკეტები, პრეზენტაციები ...), პროექტებს, მოსწავლის პორტფოლიოს, მოსწავლეთა თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას, ჯგუფური მუშაობას და სხვა. შეფასების პროცესებში ჩართულია მთლიანი სასკოლო საზოგადოება:

მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, ადმინისტრაცია რაც მათთან გასაუბრების პროცესშიც გამოიკვეთა. ამრიგად,

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლის კათედრების მიერ კურიკულუმების შექმნის/რევიზიის პროცესის პარალელურად იქმნება შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემის ფარგლებში და ემყარება გრძელვადიანი მიზნებს, რომელიც დაფუძნებულია ესგ- ის პრინციპებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა კონტექსტით. კერძოდ, კათედრებზე არსებობს ურთიერთდასწრების კულტურა, მასწავლებლები აკვირდებიან პროცესს და გაცემული უკუკავშირის მიხედვით ახდენენ რეკომენდაციების შემუშავებას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში შეფასების სხვადასხვა ფორმით დამკვიდრებას. შეფასების პროცესში მასწავლებელი ითვალისწინებს გარემოს, რაც მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე ახდენს გავლენას, როგორიცაა, არაფორმალური გარემო, სკოლა, კლასი, სოციუმი, შესასწავლი საკითხი/ თემა, მოსწავლის ინტერესთა თანხვედრა. შესაბამისად, სკოლას აქვს პრაქტიკა მრავალფეროვანი კონტექსტის მიხედვით მოახდინოს მონაცემების ანალიზი, რაც შეფასებას მოსწავლეზე ორინტირებულს და ვალიდურს ხდის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლაში მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი ანალიზის ფორმები, სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, შემოქმედებითი ტიპის დავალებების შეფასებები მოსწავლეების მიერ შესრულებული წერილობითი დავალებები, დღიურები, პოსტერები, კომიქსები. ყოველდღიურ სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ აქტიურად ხორციელდება დაკვირვება, საუბრები, უკუკავშირის გაცემა რომელიც აჩვენებს როგორ განუვითარდათ დროთა განმავლობაში მოსწავლეებს სააზროვნო უნარები და საგნობრივი ცოდნა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით სკოლა შეფასების პროცესში დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლის აკადემიური მოსწრებასთან ერთად და ფუნქციურ- კომპეტენტური უნარების განვითარებას, კერძოდ შეფასებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ ნებისმიერ ფაქტორს, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლის პროცესზე და შედეგზე. კერძოდ, სოციუმი, ოჯახი,

ტრადიციები. ასევე მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათთან კლასის ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობა და თანამშრომლობა, რაც ახდენს თითოეული მოსწავლის საჭიროებების მეტად გამოკვეთასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. შესაბამისად, სკოლაში მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების მასალები/ოქმები;
- სასწავლო პროექტები;
- შემოქმედებითი დავალების მიხედვით მოსწავლეთა ნამუშევრები; • მოსწავლეების ისგ და სამუშაო ჯგუფის ოქმები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი
2. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

   სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და მხარდაჭერის პროცესი. შესაბამისად, სკოლა ქმნის მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტს, რაც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრების ჩართულობას მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებისა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით კურიკულუმებში ცვლილებების შეტანას რაც აღნიშნული დოკუმენტის სკოლის საჭიროებებზე მორგებას უზრუნველყობს. ამრიგად, ინდიკატორი შესაბამისობაშია
3. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმის შექმნისა და მხარდაჭერის პროცესი, ჩართული მხარეების ფუნქცია-მოვალეობები, რაც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა საგნობრივი მიმართულებების მიხედვით. კერძოდ, მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, საუკეთესო პრატიკულ მაგალითებას/ აქტივობებს, სასკოლო საზოგადოების რეკომენდაციებს, შემაჯამებელი და შემოქმედებითი დავალებების შედეგებს და გამოკვეთილი

საჭიროებების მიხედვით იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. ინდიკატორი შესაბამისობაშია დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- • საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის ოქმები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.
- შეფასება:
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თინა ძულიაშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თამარ წიწიკაშვილი



ქეთევან ტურიაშვილი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ექსპერტი

ლელა კაკაშვილი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ექსპერტი



სალომე ზარქუა, უცხოური ენები

თამარ ძველაია, ესთეტიკური

თეა ხუროშვილი, ტექნოლოგიები

ინგა დარსაველიძე, სახელმწიფო ენა

ნინო საღარაძე, მათემატიკა

გიორგი კოპლატაძე, სპორტი

ეკატერინე კვირკველია, დაწყებითი